



სახელმძღვანელო მითითებები და  
საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები  
ენერგოეფექტური პროდუქტებისა და  
განახლებადი ენერჯის მოწყობილობების  
სფეროში მომქმედი საქართველოს მიკრო,  
მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

## ინფორმაცია ავტორების შესახებ

მოხსენების მთავარი ავტორია გიორგი აბულაშვილი. მარგალიტა არაბიძემ, ენერგეტიკული რეფორმებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, ალექსანდარ დუკოვსკიმ, UNECE-ს ენერგოეფექტურობის ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ და ოლეგ ძუბინსკიმ, UNECE-ს მდგრადი ენერჯის განყოფილების რეგიონალურმა მრჩეველმა, ანგარიშში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს განხილვითა და კომენტარებით. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ანგარიშში რესპონდენტებმა და ინტერვიუს მონაწილეებმა, კერძოდ: ნატალია ჯამბურამ, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსმა, ენერგეტიკული რეფორმების და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტიდან, ნიკოლოზ ხოლოდოვმა ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველოდან, ომარ წერეთელმა და სოსო მინდიაშვილმა, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის (GEDF) ექსპერტებმა, ნინო ჩოლოყაშვილმა, უფროსმა კონსულტანტმა PwC საქართველოდან, ლიანა ღარიბაშვილმა, ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს (EECG) ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ანგარიშში ინფორმაციის მოწოდების, განხილვისა და კომენტარების საშუალებით.

## სარჩევი

მოკლე შინაარსი .....	5
I. შესავალი.....	7
1.1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
1.2. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესები საქართველოში.....	10
II. საქართველოში COVID-19 კრიზისით შექმნილი გარემოს ანალიზი, რომელშიც აღმოჩნდნენ ენერგოეფექტური პროდუქტების მიწოდებასა და განახლებადი ენერჯის სფეროში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო კომპანიები .....	12
2.1. კვლევის მეთოდოლოგია.....	12
2.2. COVID-19 კრიზისის ზოგადი გავლენა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესზე.....	14
2.2.1. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი .....	14
2.2.2 ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით .....	15
2.2.3 COVID-19 კრიზისის გავლენა ბიზნესის რეგისტრაციაზე.....	17
2.2.5. COVID-19 კრიზისი და დისტანციურად მუშაობა.....	23
2.2.6. COVID-19 კრიზისის გავლენა ენერგოსექტორზე.....	25
2.4 ხელისუფლების ანტიკრიზისული გეგმა .....	27
2.4.1 აწარმოე საქართველოში.....	31
2.4.2 რესტრუქტურულიზაცია.....	32
2.4.3 ფინანსური დახმარება.....	33
2.5 მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ მიღებული ზომები COVID-19 -ის გავლენის შესამცირებლად.....	40
III. საქართველოში შექმნილი Covid-19 კრიზისისა და პოსტკრიზისული აღდგენის პერიოდში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის რეაგირების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები ენერგოეფექტურობის სფეროში .....	40
4 საუკეთესო პრაქტიკა მიკრო,მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისათვის განახლებადი ენერჯის სფეროში COVID-19 კრიზისის საპასუხოდ და კრიზისის შემდგომ აღსადგენად .....	45
V. დასკვნები .....	50
VI. რეკომენდაციები .....	52
გამოყენებული ლიტერატურა: .....	55
დანართი I .....	56

## დიაგრამების და ცხრილების ჩამონათვალი

დიაგრამა 1 - საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი სექტორული სტრუქტურა (წყარო: საქსტატი)

დიაგრამა 2 მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოება 2019 და 2020 წლებში (კვარტალი 1-2)

დიაგრამა 3- მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა 2019 და 2020 წლებში (კვარტალი 1-2)

დიაგრამა 4- მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა წარმოებიდან, სამშენებლო, საბითუმო და საცალო ვაჭრობიდან 2020 წელს (კვარტალი 3)

დიაგრამა 5- 2019 წელს რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა

დიაგრამა 6- 2020 წელს რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა

დიაგრამა 7- დასაქმებულთა რაოდენობა მცირე და საშუალო საწარმოებში 2019-2020 წლებში (კვარტალი 1-2)

დიაგრამა 8 - თანამშრომელთა შემცირება ან უვადო შვებულებაში გაშვება COVID-19 კრიზისის გამო

დიაგრამა 9- დათხოვილი და უვადო შვებულებაში გაშვებული თანამშრომლების რაოდენობა COVID-19 კრიზისის დაწყების შემდეგ (წარმოება, მშენებლობა და საცალო & საბითუმო ვაჭრობა).

დიაგრამა 10- COVID-19 კრიზისის გავლენა ადამიანურ რესურსებზე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებში, რომლებიც ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის სფეროში მუშაობენ

დიაგრამა 11- დისტანციურ რეჟიმში მუშაობად გავლენა განახლებადი ენერჯების და ენერგოეფექტურობის სფეროში მომუშავე კომპანიებზე

დიაგრამა 12- მოთხოვნა ფინანსურ დახმარებაზე ფინანსურ სექტორში

დიაგრამა 13- კრიზისის დაწყების შემდეგ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ მოზიდული დამატებითი ფინანსური რესურსები.

დიაგრამა 14- სახელმწიფო ინიციატივები და მათი გამოყენება ბიზნესების მიერ

დიაგრამა 15- სახელმწიფო ინიციატივები და ბიზნესების მოთხოვნები

დიაგრამა 16- ფინანსები და წარმოება განახლებად ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.

დიაგრამა 17- წარმოება და გაყიდვები განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის

ცხრილი 1- საწარმოების კატეგორია დასაქმებულთა რაოდენობის და წლიური ბრუნვის მიხედვით

ცხრილი 2 - კითხვარი რაოდენობრივი მონაცემებით

ცხრილი 3 – კითხვარი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის რომლებიც მუშაობენ განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში

## მოკლე შინაარსი

COVID-19-ის შემდგომ აღდგენით პერიოდში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების როლი, რომლებიც მუშაობენ ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების მიწოდების სფეროში, შესაძლოა გახდეს გადამწყვეტი, თუკი მათ მიეცემათ საჭირო სტიმულები.

ამას შეუძლია შექმნას მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების ხელახალი ამუშავების ან საერთოდ ახლის შექმნის შესაძლებლობაც კი, მაშინ როცა დასაქმების შესაძლებლობები მწირია. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლოს მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპებით, დაფინანსების ხელმისაწვდომობის, ბაზრების ხელმისაწვდომობის, მოწინავე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და ეფექტური სამთავრობო პოლიტიკისა და ღონისძიებების შედეგად შექმნილი დამხმარე გარემოს შესახებ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ღონისძიებების წარმატებით განხორციელების რეალური მაგალითებით, მათ შორის აღდგენითაც, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი გამოიწვია.

პროექტის ”გლობალური ინიციატივა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისთვის COVID-19-ის შემდგომ პერიოდში“ პირველ ეტაპზე UNECE-მ შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები და მოწინავე გამოცდილება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების მიწოდების სფეროში.

კვლევაში მოყვანილია მოწინავე პრაქტიკის მაგალითები ენერგოეფექტურობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების სექტორში, რომლებიც ეხება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების რეაგირებას COVID-19-ის კრიზისზე და პოსტკრიზისულ აღდგენას, ასევე თემატურ კვლევებს პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ბაზრებთან, ფინანსირებაზე და მოწინავე ტექნოლოგიებზე წვდომის შესახებ. მასში ასევე მოყვანილია რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების და ფინანსური სტიმულირების სქემების შესამუშავებლად. UNECE -ს რეგიონის ქვეყნებისთვის სასარგებლო იქნება სახელმძღვანელო პრინციპების და მოწინავე გამოცდილების ადაპტირება.

საქართველო არის ერთ-ერთი საპილოტე ქვეყანა ასეთი ადაპტირებისთვის, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სპეციფიკურ პირობებს. აღნიშნული კვლევა მოიცავს საქართველოში არსებული იმ გარემოს ანალიზს, რომელსაც მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი აწყდება კოვიდ -19 კრიზისის შედეგად; ენერგოეფექტურობისა (EE) და განახლებადი ენერჯის (RE) სფეროში საქართველოში განხორციელებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, რომლებიც ცხადყოფს, თუ როგორ შეუძლია რეაგირება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს მიმდინარე გამოწვევაზე; ასევე კვლევაში მოცემულია: ის ზომები, რომლის გატარებაც შეუძლია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების მიწოდების კუთხით, რაც მათ ბიზნესის ნდობის აღდგენაში დაეხმარება; რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად ეკონომიკის უფრო შეუფერხებლად და ეფექტურად აღდგენის მიზნით, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.

საქართველოში COVID-19-ით გამოწვეულმა ჯანმრთელობის დაცვის მძიმე კრიზისმა აიძულა მთავრობა გაეტარებინა ისეთი მკაცრი ზომები, როგორცაა ქვეყნის ჩაკეტვა, კარანტინი და მობილობის შეზღუდვა, რამაც თავის მხრივ გავლენა მოახდინა ბიზნეს გარემოზე. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესობაზე პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და მათ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ოპერაციების შესანარჩუნებლად. სასწრაფო ზომების მიღება იყო საჭირო, რადგან კომპანიები არ იყვნენ მზად და არ იყვნენ დარწმუნებულნი, თუ რამდენად ეფექტიან რეაგირებას მოახდენდნენ ვირუსის წინააღმდეგ, მასზე წინასწარი ცოდნისა და გარკვეული პროგნოზების არარსებობის გამო.

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესმა კრიზისს უპასუხა წარმოების შემცირებით, სახლიდან დისტანციურად მუშაობაზე გადასვლითა და ოპერაციების შეწყვეტითაც კი. COVID-19-ის გავრცელების შემდეგ, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის უმრავლესობა (68%) დადგა მომსახურებაზე შემცირებული მოთხოვნის წინაშე და მოუხდათ ოპერაციების შეწყვეტა, რის შედეგადაც შემცირდა ენერგომომხმარება. ამგვარმა შემცირებამ გავლენა მოახდინა, ერთის მხრივ, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნაზე განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურ პროდუქტებსა და მომსახურების მიმართ და მეორეს მხრივ, გამოიწვია საზოგადოების ინტერესის შემცირება განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურ პროდუქტებში ინვესტიციაზე, რასაც ასევე ხელი შეუწყო სახელმწიფოს მიერ ენერგოგადასახადების სუბსიდირებამაც.

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ პანდემიასთან ბრძოლის საშუალებათა არარსებობის გამო, მთავრობამ შემოიღო ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა მოქალაქეთა სოციალური სტატუსის გაუმჯობესებას და ბიზნეს სექტორისთვის გარკვეული ზომების მიღებას, რაც ხელს შეუწყობდა ბიზნესს პანდემიის პერიოდში ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში და დაეხმარებოდა მის აღდგენას. ეს ღონისძიებები მოიცავს საშემოსავლო გადასახადისა და ქონების გადასახადისგან გათავისუფლებას, დღგ-ს დაბრუნებას, გაზრდილ თანადაფინანსებას სესხის პროცენტისთვის, დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფას, როგორცაა საკრედიტო-საგარანტიო სქემის დანერგვა, ბიზნესისთვის მიკრო და მცირე გრანტების არსებული პროგრამის გაფართოებას.

როგორც მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ასეთი დახმარება დროული იყო, რადგან ბიზნესის 72%-მა მიმართა სახელმწიფოს ფინანსური დახმარების მისაღებად. გამოკითხული მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ყველაზე ფართოდ გამოყენებული ინიციატივა იყო თანამშრომლების ხელფასებისა და პირადი საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირება. ეს ორი ინიციატივა სასარგებლოდ ჩათვალა გამოკითხული კომპანიების 44% -მა.

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები მთავრობისა და მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სექტორში, რაც გაზრდის მათ შესაძლებლობებს კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით და ხელს შეუწყობს ეკონომიკის სწრაფი აღდგენის პროცესს.



## I. შესავალი

### 1.1. ზოგადი ინფორმაცია

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) არის გაეროს განვითარების ანგარიშის (UNDA) პროექტის "გლობალური ინიციატივა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისთვის COVID-19-ის შემდეგ პერიოდში" ერთ-ერთი პარტნიორი. პროექტის მთავარი მიზანი არის მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) შესაძლებლობებისა და მდგრადობის გაძლიერება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, გლობალური COVID-19 კრიზისის ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესამსუბუქებლად.

COVID-19-ით გამოწვეული პანდემია არის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. მან გავლენა იქონია და ახლაც ახდენს გავლენას როგორც ქვეყნებზე, ისე მოქალაქეებზე.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) -ის გენერალურმა მდივანმა მუხისა კიტუმ განაცხადა: "სწრაფი გადაადგილებით საზღვრებზე, გლობალური ეკონომიკის ძირითადი არტერიების გასწვრივ, ვირუსის გავრცელებამ ისარგებლა გლობალიზაციის ძირითადი სისუსტეებით და გლობალური ჯანდაცვის კრიზისი გახდა დარტყმა გლობალურ ეკონომიკაზე, რომელმაც ყველაზე მეტად დაუცველებზე იქონია გავლენა".<sup>1</sup>

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ გავლენა იქონია ეკონომიკაზე, განსაკუთრებით კი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებზე როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხრივ.

**მიწოდების მხარე:** კომპანიებში შემცირდა თანამშრომლების რაოდენობა, მათი ცუდად ყოფნის ან ბავშვების და სხვა ადამიანების მოვლის საჭიროების გამო, როდესაც სკოლები დახურულია და გადაადგილება შეზღუდულია. დაავადების გავრცელების შეჩერების ღონისძიებებს ჩაკეტვებისა და კარანტინის გზით მიყვავართ შესაძლებლობების გამოყენების შემდგომ და უფრო მწვავე ვარდნასთან. გარდა ამისა, მომარაგების ჯაჭვები წყდება, რაც იწვევს ნაწილების და შუალედური საქონლის დეფიციტს.

**მოთხოვნის მხარე:** მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მოთხოვნისა და შემოსავლის უცარი და მოულოდნელი შემცირება მნიშვნელოვნად აისახა მათი ფუნქციონირების უნარზე და / ან გამოიწვია ლიკვიდურობის მწვავე უკმარისობას. გარდა ამისა, მომხმარებლები განიცდიან შემოსავლის დანაკარგს, ინფიცირების შიშს და გაურკვეველობის ზრდას, რაც თავის მხრივ ამცირებს ხარჯვას და მოხმარებას. ეს შედეგები რთულდება იმით, რომ მუშაკები გათავისუფლდნენ სამსახურიდან და ფირმებს არ შეუძლიათ მათთვის ხელფასების გადახდა. განსაკუთრებით დაზარალდა ისეთი სექტორები, როგორცაა ტურიზმი და ტრანსპორტი, რაც ასევე ხელს უწყობს ბიზნესის და მომხმარებელთა ნდობის შემცირებას. ზოგადად, მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორი უფრო მეტადაა დაუცველი "სოციალური დისტანცირების" მიმართ, ვიდრე დიდი კომპანიები.<sup>2</sup>

<sup>1</sup> <https://unctad.org/news/covid-19s-economic-fallout-will-long-outlive-health-crisis-report-warns>

<sup>2</sup> [https://nextcity.org/daily/entry/cities-starting-grapple-with-small-business-declines-due-to-virus-outbreak?utm\\_source=Next+City+Newsletter&utm\\_campaign=5d645c1081](https://nextcity.org/daily/entry/cities-starting-grapple-with-small-business-declines-due-to-virus-outbreak?utm_source=Next+City+Newsletter&utm_campaign=5d645c1081)

EMAIL\_CAMPAIGN\_2019\_02\_21\_05\_47\_COPY\_01&utm\_medium=email&utm\_term=0\_fcee5bf7a0-5d645c1081-43981729

ვირუსის აქვს ასევე პოტენციური გავლენა იქონიოს საფინანსო ბაზარზე, ნდობისა და კრედიტების სამომავლო შემცირებით.

კრიზისი სხვადასხვა სახის გავლენას ახდენს დიდ და მცირე ბიზნესებზე. მაგრამ გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესებზე განსაკუთრებით მძიმეა, ის ხასიათდება მაღალი დაუცველობით და უფრო დაბალი მდგრადობის დონით, რომელიც დაკავშირებულია მათ ზომასთან.

OECD- ის ყველა ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის კომპანიათა უმრავლესობა, დამატებულ ღირებულებას და დასაქმების კუთხით. ამასთან, ზოგიერთ რეგიონში და სექტორში, რომლებმაც განსაკუთრებით იგრძნეს სიტუაციის გავლენა, მცირე და საშუალო ბიზნესების რაოდენობა კიდევ უფრო მაღალია. მაგალითად, ზოგიერთ ყველაზე დაზარალებულ რეგიონში, როგორც არის ჩრდილოეთ იტალია, მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკურ სტრუქტურაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ანალოგიურად, მცირე და საშუალო ბიზნესები ძირითადად წარმოდგენილია ისეთ სექტორებში, როგორცაა ტურიზმი და ტრანსპორტი, რომლებიც მნიშვნელოვნად განიცდიან ვირუსს გავლენას და ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულია მისი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ასევე მოდისა და კვების სექტორები, სადაც მიწოდების სისწრაფე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.<sup>3</sup>

შესაძლოა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს ჰქონდეთ ნაკლები მდგრადობა და მოქნილობა იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც დაკავშირებულია პროფილაქტიკის ხარჯებთან და ასევე ცვლილებებთან სამუშაო პროცესებში, ისეთებში, როგორცაა გადასვლა დისტანციურად მუშაობაზე (ასეთი პრობლემები კიდევ უფრო მეტი გავლენას ახდენს მცირე და საშუალო საწარმოებზე მათი მცირე ზომებიდან გამომდინარე), ასევე ციფრულ ტექნოლოგიაზე წვდომის შეზღუდულობის გამო.

მცირე და საშუალო ბიზნესის შეზღუდული რესურსებისა და კაპიტალზე წვდომის არსებული დაბრკოლებების გათვალისწინებით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შოკისგან გადარჩენის პერიოდი უფრო შეზღუდულია, ვიდრე მსხვილი ფირმებისათვის. მცირე და საშუალო საწარმოების შეზღუდული რესურსებით და არსებული დაბრკოლებებით კაპიტალური პერიოდისკენ მიმავალ გზაზე, რომლის განმავლობაშიც მცირე და საშუალო საწარმომ შეიძლება განიცადოს დარტყმა, არის მეტად შეზღუდული, ვიდრე უფრო დიდი ფირმების შემთხვევაში.

COVID-19 კრიზისმა უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია ხარჯების შემცირებასა და პროდუქტიულობის გაზრდასთან დაკავშირებით მრავალ ბიზნესში. კომპანიებმა უნდა განიხილონ რესურსების გამოყენების ეფექტურობის ზრდა ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერჯის სფეროში ინვესტიციებით და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების მიღებით, ასევე მიაღწიონ წყლისა და ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაციას „გონიერი“ ტექნოლოგიების დანერგვით და ნარჩენებისგან ენერჯის გამომუშავებით. შემავალი მონაცემების საგულდაგულო მონიტორინგი შეიძლება გახდეს საექსპულატაციო ხარჯების შემცირების მიზეზი.

პროექტის ”გლობალური ინიციატივა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისთვის COVID-19-ის შემდგომ პერიოდში“ პირველ ფაზაში, UNECE-მ შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები და საუკეთესო გამოცდილება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტების და განახლებადი ენერჯის აღჭურვილობის მიწოდების მხრივ.

<sup>3</sup> <http://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/coronavirus-covid-19-sme-policy-responses-04440101>



კვლევაში მოცემულია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები ენერგოეფექტურობის სექტორში და განახლებადი ენერჯის სფეროში, რაც მნიშვნელოვანია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის რეაგირებისთვის Covid-19 კრიზისისა და პოსტკრიზისული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, აგრეთვე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის შემთხვევების შესწავლა პრაქტიკული ზომების მისაღებად, ბაზრებზე, დაფინანსებასა და მოწინავე ტექნოლოგიებზე წვდომის მისაღებად. და მთავრობას რეკომენდაციებს უწევს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების და ფინანსური წახალისების სქემების შემუშავების შესახებ. ECE რეგიონის ქვეყნები ისარგებლებენ სახელმძღვანელო მითითებებისა და მოწინავე პრაქტიკის გამოცდილებით.

საქართველო არის ერთ–ერთი საპილოტე ქვეყანა ამგვარი ღონისძიებებისთვის, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კონკრეტულ პირობებს. ეს მოხსენება წარმოადგენს საქართველოში არსებული გარემოს ანალიზს, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესები კოვიდ-19 კრიზისის შედეგად; საქართველოში განხორციელებული მოწინავე გამოცდილება ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სფეროში, აჩვენებს, თუ როგორ შეუძლიათ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებს რეაგირება მოახდინონ არსებულ გამოწვევებზე და მსგავს პრობლემებზე წარსულში; ღონისძიებები, რომლებიც მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებს შეუძლიათ გაატარონ ენერგოეფექტური პროდუქტების და განახლებადი ენერჯის აღჭურვილობის მიწოდებაში, რაც მათ ბიზნესის ნდობის აღდგენაში დაეხმარებათ; რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ისეთი გარემოს შექმნის მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აღდგენას და შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნებს.

UNECE-ს მიერ შემუშავებული ანგარიში - „სახელმძღვანელო მითითებები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების მიწოდებაში“ ნაწილობრივ გამოყენებულია, როგორც საფუძველი და მითითება ამ კვლევის შემუშავებისას.

## 1.2. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესები საქართველოში

### 1.2.1. მიკრო მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტება საქართველოში

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტებები განსხვავდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“<sup>4</sup> და საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტებების მიხედვით.

**ცხრილი 1. საწარმოების კატეგორია დასაქმებულთა რაოდენობის და წლიური ბრუნვის მიხედვით**

კატეგორია	დასაქმებულთა რაოდენობა	საშუალო წლიური ბრუნვა (ლარი) <sup>5</sup>
მიკრო	<10	<1 000 000
მცირე	<50	1 000 000 - 12 000 000
საშუალო	51-249	12 000 000-60 000 000
დიდი	>250	>60 000 000 <sup>6</sup>

საწარმოთა ზომა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განისაზღვრება შემდეგნაირად:<sup>7</sup>

- მიკრო საწარმო (IV კატეგორია) - სუბიექტი, რომლის ინდიკატორები საანგარიშო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ორს: (1) აქტივების მთლიანი ღირებულება არ აღემატება 1 მილიონ ლარს; (2) შემოსავალი არ აღემატება 2 მილიონ ლარს; და (3) საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არ აღემატება 10-ს;
- მცირე საწარმო (III კატეგორია) - საწარმო, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის და რომლის მაჩვენებლები საანგარიშო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ორს: (1) აქტივების მთლიანი ღირებულება არ აღემატება 12 მილიონ ლარს; (2) შემოსავალი არ აღემატება 20 მილიონ ლარს; და (3) საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არ აღემატება 50-ს;

<sup>4</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11>

<sup>5</sup> 1 აშშ დოლარი=3.3169 ლარი საშუალო წლიური მნიშვნელობა საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით

<sup>6</sup> <https://www.oecd-ilibrary.org/sites/4a217b07-en/index.html?itemId=/content/component/4a217b07-en#tablegrp-d1e1420>

<sup>7</sup> <https://saras.gov.ge/ka/Home/ReportSupervision>

- საშუალო საწარმო (II კატეგორია) - საწარმო, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის და რომლის ინდიკატორები საანგარიშო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ორს: (1) საერთო აქტივების ღირებულება არ აღემატება 60 მილიონ ლარს; (2) შემოსავალი არ აღემატება 100 მილიონ ლარს; და (3) საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არ აღემატება 250-ს;
- მსხვილი საწარმო (I კატეგორია) - საწარმო, რომლის ინდიკატორები საანგარიშო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ორს: (1) აქტივების საერთო ღირებულება აღემატება 60 მილიონ ლარს (დაახლ. 20 მილიონი აშშ დოლარი) (2) შემოსავალი აღემატება 100 მილიონ ლარს; და (3) საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში<sup>8</sup> მოცემულია განმარტებების კიდევ ერთი ნაკრები საწარმოს ტიპებისთვის, რომელთათვისაც შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს. საწარმოთა ზომა განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით შემდეგნაირად:

- მიკრობიზნესის სტატუსი - მეწარმეები (ფიზიკური პირები), რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად ატარებენ ეკონომიკურ საქმიანობას და აქვთ წლიური მთლიანი შემოსავალი 30 000 ლარამდე;
- მცირე საწარმოს სტატუსი - მეწარმეები, რომელთა ეკონომიკური საქმიანობიდან მთლიანი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს.<sup>9</sup>

უფრო მეტიც, საქართველოში ფინანსურ ინსტიტუტებს ასევე აქვთ საწარმოს ზომის განსაზღვრის სხვადასხვა გზა.

ამ დოკუმენტისთვის სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას გამოიყენება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოცემული განმარტება და მეთოდოლოგია.

<sup>8</sup> [https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717%23part\\_201](https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717%23part_201)

<sup>9</sup> 1 აშშ დოლარი=3.3169 ლარი საშუალო წლიური მნიშვნელობა საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=eng> (24.02.2021)

## II. საქართველოში COVID-19 კრიზისით შექმნილი გარემოს ანალიზი, რომელშიც აღმოჩნდნენ ენერგოეფექტური პროდუქტების მიწოდებასა და განახლებადი ენერჯის სფეროში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო კომპანიები

### 2.1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მიზანია იმ სიტუაციის ანალიზი, რომელსაც მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი აწყდება COVID-19 კრიზისის შედეგად საქართველოში, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სფეროში განხორციელებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ჩათვლით. ასევე, კვლევის მიზანია იმის დემონსტრირება, თუ როგორ რეაგირებს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი COVID-19 პანდემიით გამოწვეულ ამჟამინდელ გამოწვევებზე. ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს გაანალიზოს ის ღონისძიებები, რომლის გატარებაც მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების მიწოდების კუთხით, რაც მათ ბიზნესის ნდობის აღდგენაში დაეხმარება. კვლევაში ასევე მოცემული იქნება რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობი გარემოს შესაქმნელად, რათა ხელი შეეწყოს ეკონომიკის აღდგენას, რომელიც შესაბამისობაში იქნება მდგრადი განვითარების მიზნებთან.

ამ კვლევისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავდა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვებას და ანალიზის, სამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით, სხვადასხვა სააგენტოების და ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიშებს, კითხვარებს, რომლებიც შევსებული იყო განახლებადი ენერჯისა (RE) და ენერგოეფექტურობის (EE) სფეროში მომქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების დისტანციური ინტერვიუების. ასევე კვლევა მოიცავდა მაგალითების შესწავლის მეთოდს - სუფთა ენერჯის პროექტებს, რომლებიც განახლებადი ენერჯისა (RE) და ენერგოეფექტური (EE) ტექნოლოგიების გამოყენების დემონსტრირებას ახდენენ საქართველოში ადგილობრივი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის 2020 წლის განმავლობაში.

ზოგადი მონაცემები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ზომების, COVID-19-ის გავლენისა თუ ბიზნესის წარმოებაზე მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან, ხოლო მთავრობის რეაგირებისა და ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია სამთავრობო წყაროებიდან იქნა მიღებული.

საქართველოში არსებული იმ გარემოს ანალიზისათვის, რომელშიც მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს უწევს ოპერირება კოვიდ 19 კრიზისის შედეგად, გამოყენებული იყო შპს „PricewaterhouseCoopers საქართველოს“ (PWC) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები კერძოდ, 2020 წლის მაისისქართული კომპანიები COVID-19-ის პანდემიის გამოწვევის წინაშე” და 2020 წლის ოქტომბრის, ”განმეორებითი კვლევა: ქართული კომპანიები COVID-19-ის პანდემიის წინაშე“ რომელთა შორისაც იყო 774 სხვადასხვა ზომის კომპანია. ეს უკანასკნელი კვლევა პასუხობს ისეთ

კითხვებს, როგორებიცაა: COVID-19-თან დაკავშირებული მიმდინარე სირთულეები, ვირუსის ეფექტის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ქმედებები, ფინანსური ლიკვიდურობა, ბიზნესის პროგნოზები თავიანთ კომპანიებში სიტუაციის განვითარების შესახებ, მთავრობის ინიციატივების გამოყენება და მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული პრობლემები.

მოპოვებული ინფორმაციის მიმოხილვისა და ანალიზის გარდა, განახლებადი ენერჯისა (RE) და ენერგოეფექტურობის (EE) სფეროში ჩატარდა თხუთმეტი სიღრმისეული ინტერვიუ საწარმოებთან, რათა უკეთესად აღქმულიყო ის საკითხები, რომლებიც გამოვლინდებოდნენ ინფორმაციის ანალიზისას მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესზე პანდემიის გავლენის შესახებ. ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სფეროში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების შესარჩევად გამოყენებულ იქნა ინფორმაციის სხვადასხვა წყარო, ხოლო ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სფეროში მომუშავე კომპანიების თავდაპირველი სია შეზღუდული იყო (ზოგიერთმა კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება ან დროებით დაიხურა, ზოგიერთ კომპანიასთან მიღწევა შეუძლებელი გახდა, ზოგმაც ინტერვიუზე უარი თქვა) და დასრულდა 15 კომპანიით, რომლებიც მზად იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მიმდინარე კვლევასა და გასაუბრებაში.

ქვეყანაში COVID-19-თან დაკავშირებით დაწესებულმა შეზღუდვებმა, პირისპირ შეხვედრების ჩატარება შეუძლებელი გახდა. შესაბამისად, ინტერვიუები ჩატარდა დისტანციურად. ინტერვიუში მონაწილე გამოსაკითხ პირებს კითხვები წინასწარ დაეგზავნათ. კითხვარები, რომლებიც გამოყენებულ იქნა განახლებადი ენერჯისა (RE) და ენერგოეფექტურობის (EE) სფეროში მომუშავე კომპანიებთან ინტერვიუების დროს, ისევე როგორც ზოგადი კითხვები კომპანიის შესახებ, შეიცავდა საკითხებს, რომლებიც ეხებოდა COVID-19 გავლენას კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე, ოპერაციებზე, ფინანსურ სტაბილურობაზე, თანამშრომლებზე, პერსპექტივებზე და ა.შ. ზოგიერთმა ინტერვიუერმა გულწრფელად ისაუბრა მათ წინაშე მდგარ პრობლემებზე, გააცნობიერა გამოწვევები და ისაუბრა თავიანთ ხედვასა და მოტივაციაზე. შევსებული კითხვარები დამუშავდა, გაუკეთდა ანალიზი და შედეგები წარმოდგენილია აღნიშნული კვლევის სხვადასხვა თავებში. მიზნობრივ სექტორებში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ კითხვარი მოცემულია დანართ 2-ში.



## 2.2. COVID-19 კრიზისის ზოგადი გავლენა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესზე

COVID-19 პანდემიის გავლენა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკურ და პროდუქტიულობის ზრდაზე ნათლად იქნა ნაჩვენები „გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის“ (UNECE)-ის მიერ ჩატარებულ კვლევაში: „სახელმძღვანელო მითითებები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწყობილობების მიწოდებაში“. მან აჩვენა, თუ როგორ პასუხობს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი სხვადასხვა ზომებსა და გაურკვევლობებს, რომლებიც მიიღება და წარმოიქმნება შეზღუდვების, სამთავრობო ზომებისა და ხალხის ქცევის შედეგად. საინვესტიციო ციკლი ირღვევა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის გარკვეული ნაწილისთვის და ის ნაცვლდება გადაუდებელი ზომებით, ბიზნესის შენარჩუნების მიზნით, მაშინ როცა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მეორე ნაწილი ამჩნევს თუ როგორ იცვლება ბაზარი და ცდილობს მოარგოს საკუთარი ბიზნესი მოდელი ახალ რეალობას. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ხდება ამ ეფექტების გაანალიზება ადგილობრივ კონტექსტში.


### 2.2.1. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი <sup>10</sup>

2020 წლის III კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში 13 331.2 მლნ. ლარს გაუტოლდა, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის კლებამ 5.6 პროცენტი შეადგინა.

#### დიაგრამა 1. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი

<sup>11</sup> კლება აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში:

- საცხოვრისით უზრუნველყოფის და საზ.კვების ობიექტების საქმიანობები (-53.1 პროცენტი);
- ტრანსპორტირება და დასაწყობება (-25.0 პროცენტი);
- ხელოვნება, გართობა და დასვენება (-32.4 პროცენტი);
- ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (-49.0 პროცენტი);
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (-12.5 პროცენტი);
- ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება (-11.5 პროცენტი);



<sup>10</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

<sup>11</sup> ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სფეროში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესები გადანაწილებულია ისეთ სექტორებში, როგორებიცაა: წარმოება, მშენებლობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა

- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (-4.4 პროცენტი).

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (4.3 პროცენტი);
- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები(6.6 პროცენტი);


*წყარო: საქსტატი*

- განათლება (5.6 პროცენტი);
- სამთომოპოვებითი მრეწველობა (14.7 პროცენტი);
- მშენებლობა (2.0 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (1.5 პროცენტი).

### 2.2.2 ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით


როგორც COVID-19 გავრცელების შემდეგ ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, ქართული კომპანიებისთვის ოთხი ყველაზე პრობლემური საკითხია: მოთხოვნის შემცირება, ვალუტის კურსის რყევები, საზღვრების ჩაკეტვა და კლიენტების მხრიდან დაგვიანებული გადახდა. როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2020 წლის II კვარტალში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოება და ბრუნვა შემცირდა დაახლოებით 24% -ით, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

*დიაგრამა 2. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოება 2019 და 2020 წლებში (კვარტალი 1-2)*




*წყარო: საქსტატი*

დიაგრამა 3. მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა 2019 და 2020 წლებში (კვარტალი 1-2)



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 4. მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა წარმოებიდან, სამშენებლო, საბითუმო და საცალო ვაჭრობიდან 2020 წელს (კვარტალი 3)



წყარო: საქსტატი

C-საწარმოო მრეწველობა; F-მშენებლობა; G- საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების შეკეთება <sup>12</sup>

<sup>12</sup> შენიშვნა: ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სფეროში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი გადანაწილებულია წარმოებაში, მშენებლობაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში

### 2.2.3 COVID-19 კრიზისის გავლენა ბიზნესის რეგისტრაციაზე


კრიზისის პერიოდი გარკვეულწილად აისახა ბიზნესების რეგისტრაციაზე და მნიშვნელოვნად შემცირდა რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა.

2019 წლის იგივე პერიოდულ შუალედთან შედარებით ბიზნესების რეგისტრაციის რაოდენობამ იკლო 24,67% -ით.

ბიზნესების მინიმალური რაოდენობა რეგისტრირდება 2020 წლის მარტში (318) რაც 13.9 -ჯერ ნაკლებია 2019 წლის მარტთან შედარებით (4429).


აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2020 წლის ივნისი-აგვისტოს პერიოდში ისევ შეინიშნება რეგისტრირებული ბიზნესების კლების ტენდენცია -25.55% -იანი კლებით.

დიაგრამა 5. 2019 წელს რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 6. 2020 წელს რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა



წყარო: საქსტატი

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- ქააქციო საზოგადოება (სს);
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
- შეზღუდული პარტნიორობა (LP);
- კოოპერატივი(კ);
- ინდივიდუალური მეწარმე (იმ)
- არაკომერციული იურიდიული პირი (აიპ)
- უცხოური სამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის ფილიალი (უსაიპვ)
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
- უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი (ისიპვ)

რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა:

- 2019 წლის პირველი რვა თვის მიხედვით (იანვარი-აგვისტო) შეადგენს: 34 250;
- 2020 წლის პირველი რვა თვის მიხედვით (იანვარი-აგვისტო) შეადგენს 25 796:

გარკვეულწილად ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დაწესებული შეზღუდვებითაც. გამომდინარე მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან სახელმწიფომ შემოიღო გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც ეხებოდა როგორც გადაადგილებას ასევე გარკვეულ სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებათა ფუნქციონირებას. შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდვები და კრიზისული მდგომარეობა იყო რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობის შემცირების ძირითადი მიზეზები.

### 2.2.4. COVID-19 კრიზისის გავლენა ადამიანურ რესურსებზე


Covid-19 კრიზისით გამოწვეული სირთულეების გამო საქმიანობის შეჩერებამ გამოიწვია დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება. საქსტატის მონაცემების მიხედვით (იხილეთ ქვედა ფიგურა) მცირე და საშუალო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის 2 კვარტალში შემცირდა დაახლოებით 15%-ით 2019 წლის იგივე პერიოდთან შედარებით.

ხელისუფლებამ ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში გაატარა გარკვეული ღონისძიებები, რათა თანამშრომლებს შეენარჩუნებინათ სამუშაო ადგილი. ღონისძიებები მიმართული იყო




კომპანიისთვის ფინანსური მდგომარეობის შემსუბუქებისკენ, რათა ისინი არ გამხდარიყვნენ იძულებული დაეთხოვათ თანამშრომლები მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

**დიაგრამა 7. დასაქმებულთა რაოდენობა მცირე და საშუალო საწარმოებში 2019-2020 წლებში (კვარტალი 1-2)**



წყარო: საქსტატი

**დიაგრამა 8. თანამშრომელთა შემცირება ან უვადო შვებულებაში გაშვება COVID-19 კრიზისის გამო**



წყარო: „ქართული ბიზნესები COVID-19 პანდემიის ფონზე“ მაისი 2020 და „ქართული ბიზნესების შემდგომი კვლევა COVID-19 კრიზისის ფონზე“ ოქტომბერი 2020.

*(აპრილის და სექტემბრის მონაცემები).*

გამოკითხული ბიზნესების ნაწილი იძულებული გახდა დაეთხოვა თანამშრომლები ან უვადო შვებულებაში გაეშვა.

უნდა აღინიშნოს, რომ სექტემბრისთვის დათხოვილი ან უვადო შვებულებაში გაშვებული თანამშრომლების რაოდენობა 2,4 -ჯერ აღემატება აპრილში დათხოვილს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ კრიზისის პირველმა ტალღამ უკვე საკმაო ზიანი მიაყენა ბიზნესებს და მეორე ტალღას ვეღარ შეხვდნენ ისეთი ფინანსური სტაბილურობით, როგორც პირველს.


მიმდინარე კვლევის მიხედვით, კომპანიების 56%-ს არ შეუმცირებია თანამშრომლების რაოდენობა პანდემიის დაწყებიდან.

2020 წლის აპრილში ჩატარებულ გამოკითხვასთან შედარებით, ნაკლებმა კომპანიამ განაცხადებს 100% -იანი შემცირების თაობაზე.

ზოგიერთმა რესპოდენტმა განაცხადა, რომ უმეტესწილად დაითხოვა ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული თანამშრომლები. ეს შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ დათხოვნა ძირითადად მათ შეეხო, ვინც მოქნილი გრაფიკით მუშაობდა

რადგანაც მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესები, რომლებიც მუშაობენ ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერჯის სფეროში წარმოების, მშენებლობის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროში, ქვედა დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია პერსონალის შემცირებისა და უვადო შვებულებაში გაშვების შესახებ ამ სფეროებში.


**დიაგრამა 9. დათხოვნილი და უვადო შვებულებაში გაშვებული თანამშრომლების რაოდენობა COVID-19 კრიზისის დაწყების შემდეგ (წარმოება, მშენებლობა და საცალო & საბითუმო ვაჭრობა).**



**წყარო:** ქართული ბიზნესების შემდგომი კვლევა COVID-19 კრიზისის. შპს PricewaterhouseCoopers საქართველო

- არავინ გამითავისუფლებია – 67.3%
- დავითხოვე დასაქმებულთა 0-15% - 10.6%
- დავითხოვე დასაქმებულთა 15%-25% - 4.6%
- დავითხოვე დასაქმებულთა 25%-50% - 6.6%
- დავითხოვე დასაქმებულთა 50%-75% - 3%
- დავითხოვე დასაქმებულთა 75%-100% - 2.6%
- დავითხოვე ყველა, რესპოდენტთა - 5%

**დიაგრამა 10. COVID-19 კრიზისის გავლენა ადამიანურ რესურსებზე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებში, რომლებიც ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის სფეროში მუშაობენ**



ზემოხსენებული გრაფიკებისაგან განსხვავებით, დიაგრამა 10 ასახავს COVID-19 კრიზისის გავლენას, არა წარმოების, მშენებლობისა და საცალო & საბითუმო ვაჭრობის სექტორში დასაქმებული ადამიანებისათვის, არამედ განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის დარგში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის თანამშრომლებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ სექტორში მომუშავე კომპანიების უმეტესობას არ მოუწია საკადრო ცვლილებების გატარება და მხოლოდ 13%-მა გაუშვა საკუთარი თანამშრომლები უვადო შვებულებაში. უფრო მეტიც, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სექტორში მომუშავე გამოკითხულთა კომპანიების 20%-ში თანამშრომლებმა ადგილზე, დაწესებული მკაცრი შეზღუდვების პირობებში განაახლეს მუშაობა, სახელმწიფოს მიერ ბიზნეს საქმიანობის

განახლების ნებართვის შემდეგ. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ კომპანიათა 20% ოპტიმისტურად არის განწყობილი და გეგმავს უფრო მეტი თანამშრომლის დაქირავებას, რაც თავისთავად ნიშნავს წარმოებისა და გაყიდვების ზრდას.

### **2.2.5. COVID-19 კრიზისი და დისტანციურად მუშაობა**


გამოკითხული კომპანიების დიდი ნაწილი აქამდე არ მუშაობდა დისტანციურ რეჟიმში, ნაწილი კი ნაწილობრივ მუშაობდა. უნდა აღინიშნოს, რომ რიგი კომპანიებისთვის საზარალო იყო დისტანციური რეჟიმი. ზარალის ძირითადი ფაქტორები კი შემდეგნაირია:

- სამუშაო ფართები. ოფისების ნაწილი, საიდანაც თანამშრომლები კრიზისამდელ პერიოდში მუშაობდნენ დაიხურა. კომპანიები, რომლებსაც საოფისე ფართები ქირით ჰქონდათ აღებული ან იძულებულნი გახდნენ ქირის გადახდა შეეწყვიტათ და შესაბამისად დაეკარგათ ფართი, ან გაგრძელებინათ გადახდა და ამით უზრუნველყოთ ფართის შენარჩუნება რაც თავის მხრივ ზარალის მომტანიც შეიძლება ყოფილიყო;
- ყველაზე რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ის კომპანიები, რომლებიც ნაწილობრივ გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე. კრიზისის მდგომარეობიდან გამომდინარე მას შემდეგ, რაც შეწყდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა, ისინი იძულებული გახდნენ თანამშრომლების ტრანსპორტირება უზრუნველყოთ, რაც თავის მხრივ წარმოადგენს დამატებით ხარჯებს.

დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლით ყველაზე დიდი სარგებელი მიწოდების სერვისმა მიიღო. იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადავიდა, მიწოდების სერვისებზე მოთხოვნა გაიზარდა, რამაც გამოიწვია მიწოდების სერვისების პერსონალის რაოდენობის გაზრდა. PwC-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა 22% დისტანციურად მუშაობდა, კითხვარებისა და გამოკითხვების მეშვეობით დადგინდა, რომ განახლებადი ენერჯისა და ენერჯიფიკაციის დარგში მომუშავე მცირე და საშუალო ზომის კომპანიების 67%-ს მოუწია თანამშრომლების დისტანციურად მუშაობის ორგანიზება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიათა 73%-ს ასეთი სამუშაო რეჟიმი წამგებიანად მიაჩნია, 40%-მა უზრუნველყო პერსონალი საჭირო რესურსებით. დისტანციურ სამუშაო გრაფიკზე გადასვლამ არსებულ სამუშაო რეჟიმზე გავლენა იქონია კომპანიების 13%-ში, ხოლო 7%-მა აღნიშნა, რომ მათ გაზარდეს მიწოდების სერვისებისათვის საშუალო პერსონალის რაოდენობა.



**დიაგრამა 11. დისტანციურ რეჟიმში მუშაობად გავლენა განახლებადი ენერჯების და ენერგოეფექტურობის სფეროში მომუშავე კომპანიებზე**



## 2.2.6. COVID-19 კრიზისის გავლენა ენერჯიფიკაციაზე

2019 წლის იანვარი-ნოემბრის პერიოდთან შედარებით (12166.8 მლნ. კვტ.სთ ) ელექტროენერჯის მოთხოვნა 2020 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში შემცირებულია 6,18%-ით (11414 მლნ. კვტ.სთ).

ეკონომიკურმა დაბრკოლებებმა ასევე პრობლემები შეუქმნა ელექტროენერჯის გენერაციის ობიექტების მშენებლობას. კერძოდ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული და ეკოლოგიურად სუფთა ელ.ენერჯის წყაროს - ჰესების მშენებლობების ნაწილი დროებით შეჩერებულია. კრიზისი ყველაზე მეტად აისახა მცირე სიმძლავრის (15 მგვტ.-მდე) ჰიდროელექტროსადგურებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გენერაციის ობიექტების მშენებლობის დაბრკოლების მიზეზები კომპლექსურია და მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მიღებული სუბსიდიებისა და ფინანსური დახმარებისა, მშენებარე ობიექტებისთვის დიდი დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდა იმპორტთან დაკავშირებული საკითხები. უკანასკნელის ძირითადი მიზეზი კი საქართველოში და მის საზღვრებ გარეთ, კომპანიების პარტნიორ ქვეყნებში დაწესებული შეზღუდვებია. კრიზისმა ასევე გავლენა იქონია საქართველოში მშენებლობის ეტაპზე მყოფ მცირე ჰესებზეც.

კერძოდ, 61 მცირე ჰესიდან, ჯამური დადგმული სიმძლავრით 297 მგვტ და ჯამური გამომუშავებით 1,720 მლნ. კვტ.სთ, 42 მცირე ჰესზე Covid 19 პანდემიამ გავლენა მოახდინა, რაც გამოიწვია გარკვეულმა დაბრკოლებებმა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ჩატარებაში. მათ აქვთ შემდგომი მშენებლობის ვალდებულებები და 19 მათგანი ასევე დაპაუზებულია პანდემიის გამო და ამჟამად ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა.

გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ კრიზისს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია თანამშრომელთა რაოდენობაზე და აღნიშნა, რომ მათ, ვისაც დისტანციური მუშაობა შეეძლო, განაგრძეს მუშაობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ მშენებლობის სრული გაყინვის და მთელი პერსონალის დროებით გათავისუფლების შემთხვევაში, ისინი მზად იქნებიან თანამშრომლებს შეუნარჩუნონ ანაზღაურება მინიმუმ ორი თვის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო კომპანიებს პროგნოზირებული ჰქონდათ სამუშაოების შეჩერება ზამთარში რამდენიმე თვის განმავლობაში სამშენებლო ობიექტებზე მკაცრი კლიმატური პირობების გამო. კრიზისი ფაქტიურად არ შეხებია ქარის ელექტროსადგურებს. კერძოდ, ქალაქ გორთან მდებარე ელექტროსადგურის<sup>13</sup> მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია ერთი და იმავე პერიოდის განმავლობაში 2019 და 2020 წლებში თითქმის ტოლია და მათ შორის რადიკალური სხვაობა არ არის.

კრიზისმა გარკვეული გავლენა იქონია განახლებადი წყაროებიდან ენერჯის გამომუშავებასა და განახლებადი ენერჯისა და ენერჯიფიკაციური აღჭურვილობის წარმოებაზე. საქართველოში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემცირდა საშუალოდ 6.23%-ით., რაც შედეგად აისახა ელექტროსადგურების სამუშაო დატვირთვაში, რის შედეგადაც ელექტროენერჯის რაოდენობა შემცირდა. ელექტროენერჯის მოწოდების გეგმიდან გადახრამ გამოიწვია თვითგამოსყიდვის

<sup>13</sup> <https://www.euneighbours.eu/ka/east/eu-in-action/stories/goris-karis-elektrosadguri-ganakhlebad-energiis-cqaro-sakartveloshi>

პერიოდის გახანგრძლივება. აგრეთვე განახლებადი ენერჯის რესურსებზე მომუშავე PV მოდულების მწარმოებელმა კომპანიამ (Ei-Solar)<sup>14</sup>, ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ნედლეულის შემოტანის პრობლემები და საზღვრის ჩაკეცვა დაასახელა. კომპანიამ მნიშვნელოვნად იზარალა, ვინაიდან ნედლეულის იმპორტთან დაკავშირებულმა შეფერხებებმა სამრეწველო პროცესში პრობლემები გამოიწვია. 2020 წლის სამრეწველო გეგმის შესრულება ვერ მოხერხდა, თუმცა კომპანია იმედოვნებს, რომ სრულად აღადგენს წარმოებას 2021 წელს. შეძენილი გამოცდილების საფუძველზე საწარმოში იგეგმება იმპორტირებულ ნედლეულზე დამოკიდებულების შემცირება.

კრიზისმა მსგავსი გავლენა იქონია ელექტრომანქანების დასამუხტი სადგურების მშენებელ კომპანიაზე (E-Space).<sup>15</sup> მათი თქმით დასამუხტი სადგურების მონტაჟი გადავადდა ქვეყანაში საჭირო აღჭურვილობის იმპორტის დაგვიანების გამო. მიუხედავად ამისა, გამოკითხულ კომპანიებში ვარაუდობენ, რომ საწარმოო სიმძლავრის აღდგენას 1.5 წელიწადზე ნაკლები დრო არ დასჭირდება.

## 2.3 მიკრო, მცირე და საშუალო კომპანიების წანაშე მდგარი პრობლემები

სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ზოგიერთმა კომპანიამ აქცენტი სამთავრობო პროექტებზე გადაიტანა (მაგ: მშენებლობა). თუმცა ბიზნესის უმეტესობა, სადაც ეს შესაძლებელი იყო, იძულებული გახდა გადასულიყო ონლაინ გაყიდვებზე. შემოსავლების შემცირების კომპენსირების მიზნით, გამოკითხული კომპანიების უმეტესობამ მოიზიდა დამატებითი ფინანსური რესურსი ან განახორციელა სესხების რესტრუქტურირაცია.

გამოკითხული კომპანიები სხვადასხვა სახის პრობლემებს წააწყდნენ:

1. სიტუაციის არაპროგნოზირებადობა - კომპანიებისთვის გართულდა ოპერაციების დაგეგმვა და ინვენტარის საჭიროებების პროგნოზირება;
2. მიუხედავად ამისა, რომ გარკვეულ კომპანიებს საკარანტინო პერიოდში მიეცათ მუშაობის ნებართვა, მათ მომწოდებლებს ეს უფლება არ ჰქონდათ (მაგ. სამშენებლო მასალების მომწოდებლებს). შესაბამისად, მათ ვერ შეძლეს ოპერირების გაგრძელება მას შემდეგ, რაც მარაგები ამოიწურა.
3. კომპანიებს შეექმნათ ნედლეულის დროული მიწოდების სირთულე შესაბამის მომწოდებელ ქვეყანაში COVID-19-თან დაკავშირებული შეფერხებების გამო.
4. ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მოუხდათ მცირე ზომის მომწოდებლების ჩანაცვლება, რომლებმაც COVID-19-ის გამო საქმიანობა შეწყვიტეს;
5. რადგანაც საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ მომწოდებლებთან ყველა ხელშეკრულება უცხოურ ვალუტაშია გაფორმებული (ძირითადად აშშ დოლარი და ევრო), სავალუტო კურსის ცვლილების გამო კომპანიებს გაეზარდათ ნედლეულთან დაკავშირებული ხარჯები;

<sup>14</sup> <https://www.energyintelligence.it/digital-energy/ei-solar/>

<sup>15</sup> <https://e-space.ge/?lang=GE>

6. გამოკითხულთა აზრით, სატრანსპორტო ხარჯები გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასი დაეცა. სატრანსპორტო გადაზიდვების რაოდენობა შემცირდა, რამაც გამოიწვია ტრანსპორტირების საფასურის ზრდა;
7. შიდა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები იმ მოკლე ვადაში წარმოშვა, რომლის განმავლობაში კომპანიებს სჭირდებოდათ გამოსავლის პოვნა და ტრანსპორტირების ნებართვების მოპოვება. უმეტესად მათ ვინც ცხოვრობდნენ თბილისის გარეთ ვერ შეძლეს საკუთარი პერსონალის ტრანსპორტირება
8. მუშაობის ნებართვის მოპოვების პროცესი რთული იყო, ვინაიდან საჭირო იყო ძალისხმევა პროცედურების გასაგებად და კომპანიებისთვის დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად. გარკვეულ შემთხვევებში ძნელი იყო ოფიციალური პასუხის მიღება სამუშაო ნებართვებთან დაკავშირებით. მთავრობის მხრიდან
9. მანქანა-დანადგარების შესაკეთებლად უცხოელი სპეციალისტების მოწვევასთან დაკავშირებული პრობლემები.
10. საოპერაციო ხარჯების ზრდა ზემოთ მოყვანილი პრობლემების მოსაგვარებლად.

## 2.4 ხელისუფლების ანტიკრიზისული გეგმა<sup>16</sup>

2020 წლის 24 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარადგინა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, რომელიც იმ პერიოდისთვის მოიცავდა როგორც უკვე განხორციელებულ, ასევე სამომავლო გეგმებსაც, რომლებიც რიგ შემთხვევაში მოიცავდა შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს.

ანტიკრიზისული გეგმა მოიცავდა სამ ეტაპს, რომლებიც მიმართული იყო როგორც მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ასევე ბიზნეს სექტორისთვის გარკვეულ ღონისძიებებზე, რომელიც მათ დაეხმარებოდათ შეენარჩუნებინათ ეკონომიკური სტაბილურობა პანდემიის პირობებში.

**ანტიკრიზისული გეგმა მოიცავდა სამ ეტაპს:**

**პირველი ეტაპი** იყო ქვეყანაში ვირუსის ადრეული გავრცელების საპასუხოდ მიღებული გადაუდებელი ზომები, როგორც ჯანმრთელობის, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, რაც ძირითადად ნაკარნახევი იყო აუცილებლობით და ნაკლებად ემყარებოდა მათი ზემოქმედების შედეგებს.

**პირველი ეტაპი:** ღონისძიებები მოქალაქეთათვის და ბიზნესებისთვის

- განხორციელდა მოქალაქეებისთვის კომუნალური (ელექტროენერჯის, წყლის, დასუფთავების და ბუნებრივი აირის მოხმარების) გადასახადების დაფინანსება. დახმარების პირველი ეტაპი გაგრძელდა მარტი-მაისი თვეების ჩათვლით, ხოლო პროექტის მეორე ნაწილი დეკემბერი-თებერვლის თვეების ჩათვლით. პროგრამის პირობებში ხელისუფლება აფინანსებდა 200 კვტ.სთ მოხმარებულ ელექტროენერჯიას და 200 მ3 მოხმარებულ ბუნებრივ აირს. ეკონომიკური გეგმის თანახმად, ამ მიზნით გამოყოფილი იყო რესურსი 150 მლნ. ლარის ოდენობით.

<sup>16</sup> <https://www2.deloitte.com/ge/ka.html>

- ტურიზმის სექტორში დასაქმებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ საშემოსავლო და ქონების გადასახადის დეკლარირებული ვალდებულების გადახდის გადავადება 2020 წლის 1 ნოემბრამდე.
- ავტომობილორებს 2020 წლის 1 აპრილამდე შემოყვანილი ავტომობილების განბაჟების ვადა გაუხანგრძლივდათ 1 სექტემბრამდე;
- ხელისუფლებამ შემოიღო პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებდა გარკვეული იმპორტირებული პროდუქტების სუბსიდირებას 2020 წლის 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით. პროგრამის ბიუჯეტი იყო 15 მილიონი ლარი;
- სამშენებლო მასალების ფასის ზრდის დაზღვევა - 200 მლნ მლნ ლარი;
- „აწარმოე საქართველოში“ (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო) ახალი პროგრამის, „თანადაფინანსების მექანიზმი საოჯახო, მცირე და საშუალო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის“ ფარგლებში 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით განახორციელდა მცირე და საშუალო ტიპის სასტუმროების სესხის წლიური სარგებლის თანადაფინანსება 80%-მდე ოდენობით. ამ აქტივობისთვის გამოყოფილმა ხარჯმა შეადგინა 10 მილიონი ლარი.

**მეორე ეტაპი** წარმოადგენს ეკონომიკურ და სოციალურ ქმედებებს კრიზისული პერიოდისთვის არსებული პროგნოზებისა და ეკონომიკური პარამეტრების საფუძველზე და, შესაბამისად, უფრო მიზანმიმართული და შედეგზეა ორიენტირებული. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების პროგნოზების თანახმად, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2020 წელს იქნება მინუს 4%, რაც ნიშნავს საბიუჯეტო შემოსავლების 1.8 მილიარდი ლარით შემცირებას.

საერთო ჯამში, გაზრდილი ხარჯებისა და შემოსავლების შემცირების გამო, ბიუჯეტს 3,9 მილიარდი ლარის დეფიციტი აქვს 2020 წლის საფინანსო წლისთვის. ამ დეფიციტის გამოსასწორებლად და ეკონომიკური ზარალის შემცირების მიზნით და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისთვის პოსტკრიზისულ პერიოდში, საქართველოს მთავრობამ მიაღწია შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან 3 მილიარდი აშშ დოლარის (დაახლოებით 9.5 მილიარდი ლარი) მობილიზებისთვის. ამ 3 მილიარდი აშშ დოლარიდან 1.5 მილიარდი აშშ დოლარი (4.75 მილიარდი ლარი) გამოიყოფა საბიუჯეტო სახსრებისთვის, ხოლო დარჩენილი 1.5 მილიარდი აშშ დოლარი ხელმისაწვდომი იქნება კერძო და საბანკო სექტორისთვის მოთხოვნის შემთხვევაში.

**მესამე ეტაპი** : 2020 წლის მაისი-ოქტომბრის პერიოდში მოქალაქეებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევა

- დაიგეგმა მიზნობრივი სოციალური დახმარების გამოყოფა მოქალაქეთათვის, კერძოდ კი ოფიციალურად დასაქმებულ პირთათვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იმყოფებოდნენ არაანაზღაურებად შვებულებაში კორონავირუსის პანდემიის გავრცელების შემდგომ პერიოდში, დახმარების სახით მიიღეს 1200 ლარი 6 თვის განმავლობაში (თვეში 200 ლარი)<sup>17</sup>;

<sup>17</sup> ლოკდაუნის დაწყებიდან



- მომდევნო 6 თვის განმავლობაში საშუალოდ 600 ლარის ოდენობის დახმარება გაიცა სოციალურად დაუცველთა და მრავალშვილიანთა მიმართულებით;
- ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიუხედავად, პენსიები გაიზარდა არანაკლებ 20 ლარით და 25 ლარით 70 წელზე მეტი ასაკის პენსიონერთათვის.
- ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლები, რომლებმაც შეინარჩუნეს სამუშაო და ხელფასები, გათავისუფლებიან საშემოსავლო გადასახადისგან. 750 ლარამდე ხელფასის მთლიანად გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადისგან, 1500 ლარამდე ხელფასის მქონე თანამშრომლებს ექნება შეღავათი 750 ლარზე, ხოლო დანარჩენი დაიბეგრება ჩვეულებრივ. ასეთი შეღავათები არ შეეხება 1500 ლარზე მეტი ხელფასის მქონე პირებს (დაახლ. 470 აშშ დოლარი). ამ პროგრამის ღირებულება 250 მილიონი მლნ ლარია. გადასახადები დაუბრუნდებათ დამსაქმებლებს<sup>18</sup> და არა დასაქმებულებს, ამიტომ კომპანიები გადაწყვეტენ როგორ გამოიყენონ ეს
- თვითდასაქმებული ადამიანები მიიღებენ ერთჯერად დახმარებას 300 ლარის ოდენობით (93 აშშ დოლარი) იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებენ, რომ დაკარგეს შემოსავალი. ამ მიზნით სულ 75 მილიონი მილიონი ლარი გამოიყო, რაც ნიშნავს, რომ ამ პროგრამით მაქსიმუმ 250 ათასი მოქალაქე ისარგებლებს. არ იყო მითითებული რას ნიშნავს შემოსავლის დაკარგვის დადასტურება. საქართველოს რეგულაციების თანახმად, ადამიანი თვითდასაქმებულია, თუ ის რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა (მაგ. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები, დამლაგებლები, ქუჩაში მოვაჭრეები და ა.შ.), მაგრამ მათი შემოსავალი ოფიციალურად არ არის დეკლარირებული და ისინი არ იხდიან გადასახადებს. ასევე, ადამიანი თვითდასაქმებულია, როდესაც ის მუშაობს იურიდიული პირისთვის, მაგრამ იღებს არადეკლარირებულ ანაზღაურებას (ე.წ. ხელიზე / დარდი ფულით). მოსალოდნელია, რომ არც ერთი კომპანია არ გარისკავს დაჯარიმებას რამდენიმე ათასი ლარის ოდენობით, რათა თვითდასაქმებულებს მიეცეთ ცნობა მათთან მუშაობის ან შემოსავლის დაკარგვის შესახებ.

საწარმოების დახმარების გეგმა:

- კომერციულ ბანკებს მიეცემათ 600 მილიონი ლარის გრძელვადიანი რესურსი;
- დამატებითი 500 მილიონი ლარი გამოიყო ბიზნესის დასახმარებლად, მათ შორის საკრედიტო-საგარანტიო სქემა. ეს გულისხმობს სახელმწიფოს შემოსვლას ბიზნესის წარმოების გარანტიად. 2 მილიარდი ლარის სესხი გაიცემა სახელმწიფო გარანტიით. გარანტიის ოდენობა იქნება 90% -მდე ახალი სესხებისთვის და 30% -მდე არსებული სესხების რესტრუქტურირებისთვის. აწარმოე საქართველოში პროგრამის ცვლილებები თანადაფინანსების პირობებში -: სესხის / ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდი 24 თვიდან 36 თვემდე გაიზარდება; ინტერესის თანადაფინანსების მექანიზმების შეცვლა; საქმიანობის გაფართოებული ჩამონათვალი; შემცირებული სესხის / ლიზინგის მინიმალური დიპაზონი; საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების ზრდა;
- სოფლის მეურნეობის შეღებვა:

<sup>18</sup> საქართველოში რეგულარული პრაქტიკაა, როცა დამსაქმებელი აკლებს დასაქმებულს მთლიანი შემოსავლის ნაწილს და გადასცემს მას საგადასახადო სამსახურს



- სოფლის მეურნეობის გრანტების ზედა ზღვრის გაზრდა 20 000 ლარიდან 30 000 ლარამდე;
- აგროკრედიტები ერთწლიანი კულტურებისათვის. მოიცავს სესხის პროცენტის სუბსიდირებას. სავარაუდო სესხების საერთო მოცულობა 50 მლნ. ლარი. პროგრამით დაახლოებით ისარგებლებს 5000 ფერმერი;
- სამელიორაციო საქმიანობის მხარდაჭერა - სამელიორაციო გადასახადებისაგან სრული გათავისუფლება 2020 წლისთვის და 2020 წლამდე დაგროვილი სესხების სრული ჩამოწერა;
- 3 წლის განმავლობაში მოხდება 1,2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რაც დაასრულებს მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ სამართლებრივ დავებს.

2020 წლის 26 ნოემბერს COVID–თან დაკავშირებული ახალი შეზღუდვების გამოცხადების შემდეგ, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 28 ნოემბერს და აღწერილია, როგორც ”კომპრომისული ვარიანტი”, საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ეტაპად. საქართველოს პრემიერ მინისტრის განცხადებით, ახლად მიღებული შეზღუდვები გამოიწვევს ქვეყნის მშპ-ს დამატებით შემცირებას 0.7-0.8% -ით, ამიტომ ახალი ანტიკრიზისული ფინანსური ღონისძიებები მიზნად ისახავს ეკონომიკის სტიმულირებას და ამ შეზღუდვების შედეგების შემსუბუქებას.

ბიზნესისა და საზოგადოებისათვის ტვირთის შესამსუბუქებლად, გამოცხადდა დამხმარე ზომები:

- მთავრობა ბიზნესისთვის დახმარებას კიდევ ექვსი თვით გააგრძელებს, ვინაიდან ექვსი თვის წინ გამოცხადებულმა ვადა ამოიწურა 2020 წლის 1 ნოემბერს.
- მთავრობა კვლავ დაეხმარება დამსაქმებლებს კორონავირუსის კრიზისის დროს სამუშაო ადგილების შენარჩუნებაში.
- თვიური შემოსავალი 1,500 ლარს ზემოთ განთავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან ფიზიკური პირებისთვის 750 ლარის საშემოსავლო გადასახადის ექვივალენტის რაოდენობით შემდეგი 6 თვის განმავლობაში.ამ გადასახადს გადაიხდის სახელმწიფო. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 33,000 ბიზნესი და 425,000 თანამშრომელი. კორონავირუსის წინა ტალღის დროს, ამ მხარდაჭერით სარგებლობდა 33,000 კომპანია და მიაღწია 260 მილიონ ლარს.
- ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა ქონების გადასახადი 2021 წლისთვის გაუქმდება, '.
- 2020 წლის მასში, როდესაც მთავრობამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ტურიზმის სექტორს ქონების და პირადი საშემოსავლო გადასახადები გადავადდა ოთხი თვით ამ სფეროში მოქმედი ბიზნესისთვის. იგეგმება გადავადებული საშემოსავლო გადასახადის სრულად ჩამოწერა. ტურისტული სექტორის ხელშეწყობა და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადზე სუბსიდია გადაიღო ოთხი თვით ამ სექტორში მომუშავე ბიზნესებისთვის.
- ტურისტული სექტორები, როგორებიცაა მცირე და საშუალო ზომის სასტუმროები, მიიღებენ დახმარებას სუბსიდირების სახით სესხების საპროცენტო განაკვეთებისთვის ექვსი თვის ვადით. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობაა 3 700 ბიზნესი.
- მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა და სუბსიდირება მოიცავს მოქალაქეთა სოციალური დახმარების პროგრამას და საწარმოების მხარდაჭერის გეგმას. ამ მიზნით გამოიყო 1,10 მილიარდი ლარი.
- 2020 წლის ბოლოს მთავრობის გადაწყვეტილებით კომერციული სუბიექტებისთვის ელექტროენერჯის გაზრდილი ტარიფის შემცირების მიზნით, ადგილობრივი საკვები

პროდუქტების მწარმოებელი კომპანიებისთვის სახელმწიფო სუბსიდირებას გაუწევს 2021 წლის განმავლობაში, 50% -იანი სხვაობა წინა და ახალ ტარიფებს შორის.

### 2.4.1 აწარმოე საქართველოში<sup>19</sup>

„აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

საკრედიტო საგარანტიო სქემა წარმოადგენს მრავალი ქვეყნის მიერ კორონა ვირუსის წინააღმდეგ ეკონომიკური მხარდაჭერის პაკეტის მნიშვნელოვან კომპონენტს, რამდენადაც თავის მხრივ საკრედიტო საგარანტიო სქემა გამოიყენება, როგორც კონტრციკლური მექანიზმი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და ლიკვიდობის მართვის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოფს რისკების ადეკვატურ განაწილებას სახელმწიფოს, კომერციულ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებლებს შორის. სქემის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პირობები კერძო სექტორისთვის, რაც მოიცავს გარანტიის დაფარვის დონის ზრდას როგორც ინდივიდუალური სესხის, ასევე პორტფელის დონეზე, საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს შემცირებას, სესხის მოცულობის ზედა ზღვრის ზრდას და გარანტიის გამოყენების შესაძლებლობას საბრუნავი საშუალებების მეტად დასაფინანსებლად. სქემის ფარგლებში 2020 წელს გამოყოფილი გარანტიის ოდენობა კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის შეადგენს 330 მილიონ ლარს.

კრიზისულ პერიოდში, მცირე და მიკრო მეწარმეობის წახალისების აქტუალურობა მნიშვნელოვნად იზრდება, განსაკუთრებით სოფლად და მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მცირე და მიკრო მეწარმეებისთვის. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მექანიზმს წარმოადგენს მიკრო და მცირე გრანტების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი კრიზისულ პერიოდში 4 ჯერ გაიზარდა და 40 მლნ ლარით განისაზღვრა 2020 წელს. ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროგრამის პარამეტრები, კერძოდ გაიზარდა გრანტის მაქსიმალური მოცულობა 20 000 ლარიდან 30 000 ლარამდე, ხოლო მეწარმე-სუბიექტის მხრიდან თანამონაწილეობის ოდენობა შემცირდა 20%-დან 10%-მდე (მაღალმთიან რეგიონებში 5%-მდე).

სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით სახელმწიფომ უზრუნველყო სუბსიდია თითოეულ შენარჩუნებულ ადგილზე, კერძოდ 750 ლარის ოდენობის ხელფასი სრულად გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისგან, ხოლო 1500 ლარამდე ხელფასი კი, 750 ლარის ოდენობაზე გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისგან.

<sup>19</sup> <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/მთავარი/ჩვენ-შესახებ>

სექტორულ დონეზე მხარდაჭერის პაკეტი შემუშავებულ იქნა ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის/დეველოპმენტის სექტორში. აღნიშნული პაკეტების ფარგლებში შემუშავებული ღონისძიებების ძირითადი ნაწილი მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობასა და მათი კონკურენტუნარიანობის და ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პაკეტი ითვალისწინებს ფერმერებისა და კოოპერატივების პირდაპირ დახმარებას გრანტებისა და ვაუჩერების საშუალებით, სუბსიდიებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისთვის (მათ შორის პირველადი და გადამამუშავებელი სოფლის მეურნეობის ჩათვლით), საბანკო კრედიტისა და ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებას, სარწყავი სისტემის მოწყობაში მხარდაჭერას, აგროდაზღვევის თანადაფინანსებასა და დახმარებს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში.

ტურიზმის მხარდაჭერის ღონისძიებები ითვალისწინებს 2020 და 2021 წელს ტურიზმის სექტორის სრულ გათავისუფლებას ქონების გადასახადისაგან და 2020 წელს საშემოსავლო გადასახადის ჩამოწერას. ასევე, მთავრობა ახორციელებს 6 თვის განმავლობაში სესხის პროცენტის 80%-ის სუბსიდირებას 20 მილიონზე ნაკლები ბრუნვის მქონე სასტუმროებისთვის, რაც წარმოადგენს ქართული სასტუმრო ინდუსტრიის უდიდეს ნაწილს. რესტორნები ჩართულნი არიან საკრედიტო საგარანტიო სქემაში, რითიც მათ საშუალება მიეცემათ მოაგვარონ ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემები და დააფინანსონ ოპერაციული ხარჯები. ტურისტული კომპანიებისთვის/ტურ-ოპერატორებისთვის მთავრობა ასევე ახორციელებს საბანკო გარანტიის პროცენტის სუბსიდირებას 6 თვის განმავლობაში.

დეველოპერული/სამშენებლო სექტორის მხარდაჭერის გეგმა მოიცავს როგორც მოთხოვნის მასტიმულირებელ, ასევე მიწოდების ხელშემწყობ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს აღნიშნულ სექტორში არსებული გამოწვევების დაძლევას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საცხოვრებელი ბინების გაყიდვების მაჩვენებლის შემცირებას, მშენებლობის დასრულების რისკების ზრდას, ფასების მერყეობასა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის პაკეტი ითვალისწინებს იპოთეკური სესხის პროცენტის სუბსიდირებას, იპოთეკურ სესხებზე სახელმწიფო გარანტიის გაცემას, მიმდინარე მშენებლობების დასრულების დაზღვევას, ბინების შესყიდვას დევნილებისთვის და სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართის არანაკლებ 20%-ის ანგარიშის გამოყენებით რეალიზაციის ვალდებულებას.

## 2.4.2 რესტრუქტურიზაცია

მეწარმე-სუბიექტებს მიეცათ სესხების რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა. ეროვნულმა ბანკმა რეგულაციების შემსუბუქების თვალსაზრისით ხელი შეუწყო აღნიშნულ პროცესს და ბანკებს მისცა რესტრუქტურიზაციის მეტი შესაძლებლობა.

კერძო სექტორში კონკურენტუნარიანობის სწრაფი აღდგენის მიზნით განხორციელდა ახალი სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დიზაინის ცვლილება. სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები ოროენტირებულია არსებული გამოწვევების გამკლავებაზე

და პროგრამების შეცვლილი დიზაინი უზრუნველყოფს მეტად ხელსაყრელ პირობებსა და გაზრდილ დაფინანსებას ბიზნეს სექტორისთვის ლიკვიდობის პრობლემის შესამსუბუქებლად. აღნიშნული მიზნის შესაბამისად „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქმიანობების სახეები, ამასთან, პროგრამის პირობები გახდა მეტად ბიზნესზე ორიენტირებული, კერძოდ გაიზარდა სესხის პროცენტის თანადაფინანსება, კრედიტზე/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსება ხორციელდება 36 თვის განმავლობაში, განხორციელდა სესხის/ლიზინგის საგნის მინიმალური ზღვარის დაწევა 50 000 ლარამდე და ამასთან, გაიზარდა საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად განსაზღვრული ზღვარი.


- იმ კომპანიების სტატისტიკა, რომლებიფინანსურ ინსტიტუტებს მიმართავენ განსხვავდება კომპანიის ზომის მიხედვით. მიკრობიზნესების 63%-ზე ნაკლებს ჯერ არ მიუმართავთ ფინანსური ინსტიტუტებისთვის. განსხვავებულივიტარებაა საშუალო ზომისკომპანიებში, სადაც 50%-ზე ნაკლებს ჯერ არმიუმართავს ფინანსური ინსტიტუტებისთვის.
- დამატებითი დაფინანსების მოთხოვნაზე უარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საშუალო (14%), მიკრო (12%) და მცირე ზომის კომპანიებს (11%) აქვთ.
- დამატებითი დაფინანსების მოპოვების წარმატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საშუალო და დიდი ზომის კომპანიების თანაბარ რაოდენობას (22%) აქვს. ასევე, გადაწყვეტილებას ელოდება საშუალო ზომის კომპანიებს 9% და დიდი ზომის კომპანიების 7%. წინა კვლევისგან განსხვავებით, უფრო საშუალო ზომის კომპანიებმა მიიღესდაფინანსება.
- კომპანიების პროცენტული წილი, რომლებსაც დაფინანსება არ სჭირდებათ, 37%-დან 22%-მდეშემცირდა. ამავდროულად, კომპანიებისრაოდენობა, რომლებსაც ჯერ კიდევ არმიუმართავთ დამატებითი დაფინანსებისთვის,30%-დან 48%-მდე გაიზარდა.

### 2.4.3 ფინანსური დახმარება

ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედმა განაცხადა, რომ მათ არ სჭირდებათ სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარება. ბიზნესის რესპონდენტთა 28%-მა საერთოდ არ მიმართა სახელმწიფოს ფინანსური დახმარების თხოვნით, 72%-მა კი მიმართა.

#### დიაგრამა.12. მოთხოვნა ფინანსურ დახმარებაზე ბიზნეს სექტორში

COVID-19-ის მიზეზით გამოწვეული შეფერხებების გამო დასჭირდება თუ არა თქვენს ბიზნესს დამატებითი ფინანსური სახსრები?



**წყარო:** „განმეორებითი კვლევა ქართული კომპანიები COVID-19 პანდემიის წინაშე“ ოქტომბერი 2020. გვ.23 PricewaterhouseCoopers Georgia LLC


კომპანიების სტატისტიკა, რომლებმაც მიმართეს ფინანსურ ინსტიტუტებს განსხვავებულია მათი ზომის მიხედვით. მიკრო ბიზნესების 63%-ს ჯერ არ მიუმართავს საფინანსო ინსტიტუტებისთვის მამინ, როდესაც მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ეს მაჩვენებელი 50%-ზე ნაკლებია.

- დამატებითი დაფინანსების მოთხოვნაზე უარყოფის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საშუალო ზომის კომპანიებს (14%), მიკრო კომპანიებს (12%) და მცირე კომპანიებს (11%) აქვთ.
- დამატებითი დაფინანსების მოპოვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (22%) იყო საშუალო ზომის კომპანიებს შორის. ასევე, საშუალო ზომის კომპანიების 9% ელოდება გადაწყვეტილებას.

**დიაგრამა 13. კრიზისის დაწყების შემდეგ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ მოზიდული დამატებითი ფინანსური რესურსები.**



## მიმართეთ თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს 2020 წლის COVID-19-ის დაწყებიდან დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვის მიზნით?




წყარო: „განმეორებითი კვლევა ქართული კომპანიები COVID-19 პანდემიის წინაშე“ ოქტომბერი 2020. PricewaterhouseCoopers Georgia LLC

კომპანიებმა ასევე განმარტეს, თუ რაში გამოიყენეს მთავრობისგან მიღებული დახმარება. მთავრობის ინიციატივების ძირითადი სარგებელი კომპანიებისთვის დაკავშირებული იყო ბიზნესის საქმიანობის გაგრძელებასთან (40%), ხოლო კომპანიების 38%-მა ის თანამშრომლების შესანარჩუნებლად გამოიყენა.

### დიაგრამა 14. სახელმწიფო ინიციატივები და მათი გამოყენება ბიზნესების მიერ


რა სარგებელი მიიღეთ მთავრობის მიერ გამოცხადებული იმ ინიციატივიდან, რომელიც მიესადაგება თქვენს საქმიანობას?



წყარო: „განმეორებითი კვლევა ქართული კომპანიები COVID-19 პანდემიის წინაშე“ ოქტომბერი 2020. PricewaterhouseCoopers Georgia LLC



**დიაგრამა 15. სახელმწიფო ინიციატივები და ბიზნესების მოთხოვნები**




**წყარო:** „განმეორებითი კვლევა ქართული კომპანიები COVID-19 პანდემიის წინაშე“ ოქტომბერი 2020. PricewaterhouseCoopers Georgia LLC

გამოკითხული რესპონდენტების ყველაზე ფართოდ გამოყენებული ინიციატივა არის თანამშრომლების ხელფასების და პირადი საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირება. რესპონდენტებმა ეს ორი ინიციატივა ყველაზე სასარგებლოდ მიიჩნიეს (44%). რაც შეეხება დღგ-ს დაბრუნებას, ამ ინიციატივით ისარგებლა კომპანიების მხოლოდ 17%-მა, ამასთან ეს ინიციატივა არ იყო აქტუალური კომპანიათა უმრავლესობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია წარმოაჩენს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების კვლევის შედეგს ჯამურად, ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა წარმოადგენს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის გავლენას კომპანიების წარმოებაზე და ფინანსურ სიმტკიცეზე.

**დიაგრამა 16. ფინანსები და წარმოება განახლებად ენერჯის და ენერჯიფიკაციის სფეროში მომუშავე მცირე, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.**



როგორც მე-16 დიაგრამაზე ჩანს, გამოკითხულთა 60% აცნობიერებს თავის კომპანიაში არსებულ სისუსტეებს და თითქმის ყველა (60%-მდე) გეგმავს სარეზერვო ფინანსური და ფიზიკური რესურსების შექმნას. კომპანიების მხოლოდ 29%, რომლებიც მუშაობენ განახლებადი ენერჯის და ენერჯიფიკაციის სფეროში, ფიქრობს საქმიანობის სფეროს შეცვლას, მაგრამ ყველა მათგანმა აღიარა, რომ მათ არ აქვთ რესურსი სამუშაო სიმძლავრის ან პროდუქციის დასამატებლად. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ კომპანიების მხოლოდ 13% -ს დასჭირდა დამატებითი სესხის აღება საკუთარი ბიზნესის ხელშესაწყობად და საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილის გაყიდვა ფინანსური სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

COVID-19 პანდემიის გამო სამიზნე სექტორის 30% იძულებული გახდა გაეწყვიტა ურთიერთობა წითელი ზონის ქვეყნებთან, მაგრამ მიუხედავად ამისა 40% ემბებს ახალ უცხოელ პარტნიორებს.


კომპანიებისთვის შეთავაზებული იქნა შეფასებინათ ჩამოთვლილი პრობლემები (კითხვები) 10 ქულიანი სისტემით: 0-5-10 (0 ქულა ან ცარიელი უჯრა ნიშნავს, რომ ეს საკითხი არ არის მნიშვნელოვანი კომპანიისთვის)

**ცხრილი 2. კითხვარი რაოდენობრივი მონაცემებით**

	0	5	10
--	---	---	----

1	როგორ შეიცვალა კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა	არ შეცვლილა	განახევრდა	შეწყდა
2	როგორია კომპანიის კონკურენტუნარიანობა	სტაბილური	საშუალო	კონკურენტუნარიანი
3	რამდენად შეიცვალა წარმოების პროცესი	არ შეცვლილა	გართულდა	შეწყდა
4	როგორ შეიცვალა ხელფასები	არ შეცვლილა	შემცირდა მცირედ	დროებით შეწყდა გაცემა
5	როგორ შეიცვალა კომპანიის უძრავი ქონება	არ შეცვლილა	შემცირდა საშუალოდ	დაიკარგა სრულად
6	როგორ შეიცვალა ვალდებულებები ბანკების წინაშე	არ შეცვლილა	საშუალოდ გაიზარდა	აღემატება ბიუჯეტს
7	რამდენად დაგეხმარათ სახელმწიფოს მიერ გაწეული ფინანსური/სუბსიდირებული დახმარება	დამეხმარა სრულად	დამეხმარა ნაწილობრივ	ვერ დამეხმარა
8	როგორ შეიცვალა გაყიდვები ქვეყანაში	არ შეცვლილა (მზარდია)	განახევრდა	შეწყდა
9	როგორ შეიცვალა ექსპორტი	არ შეცვლილა	განახევრდა	შეწყდა
10	როგორ შეიცვალა იმპორტი	არ შეცვლილა	ნაწილობრივ შეწყდა	სრულიად შეწყდა

**დიაგრამა 17. წარმოება და გაყიდვები განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის**



როგორც გრაფიკზე ჩანს, კომპანიების მხოლოდ 23%-ისთვის, რომლებიც მუშაობენ განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში წარმოება არ შეცვლილა, მაშინ, როცა 69%-ისთვის წარმოება შემცირდა თითქმის ორჯერ. 43%-მა აღნიშნა, რომ წარმოების პროცესი არ შეცვლილა, კიდევ 43% კი თვლის, რომ წარმოების პროცესი გახდა უფრო რთული. კომპანიების უმრავლესობა, რომლებიც მუშაობენ განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში აღნიშნავენ, რომ სიტუაცია მათ საკუთრებასთან დაკავშირებით არ შეცვლილა. კომპანიების 14%-მა დაკარგა საკუთრების ნაწილი. თანამშრომელთა ხელფასი უცვლელი დარჩა კომპანიების 73%-ისთვის, ხოლო კომპანიების 20% იძულებული გახდა შეემცირებინათ ხელფასები. დროებითი ღონისძიების სახით ხელფასის შეწყვეტის შესახებ განაცხადა კომპანიების 7%-მა. რაც შეეხება ვალდებულებებს ბანკების წინაშე გამოკითხული კომპანიების 93%-ისთვის, რომლებიც მუშაობენ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში სიტუაცია არ შეცვლილა, ხოლო 7%-მა განაცხადა, რომ ვალდებულება ბანკების წინაშე გაიზარდა. სახელმწიფო დახმარების კუთხით, გამოკითხული კომპანიების 80%-მა მიიღო ამ სახის დახმარება, ხოლო 13% ამბობს, რომ გაწეული დახმარება გარკვეულწილად სასარგებლო გამოდგა მათთვის, მხოლოდ 7% აცხადებს, რომ დახმარებამ არ გამოიწვია სიტუაციის გაუმჯობესება. სიტუაცია გაყიდვებთან მიმართებაში დარჩა უცვლელი კომპანიების 53%-ისთვის, მაგრამ კომპანიების 47% აცხადებს, რომ გაყიდვები შემცირდა თითქმის ორჯერ. კომპანიების 50%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები არ შეცვლილა, ხოლო 13%-ს მოუწია ამ საქმიანობის შეჩერება.

## 2.5 მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ მიღებული ზომები COVID-19 -ის გავლენის შესამცირებლად

მოთხოვნის შემცირება რჩება უდიდეს ნეგატიურ გავლენად, რომელიც COVID-19 -მა იქონია კომპანიებზე. უდიდესი დანაკარგი განიცადა ტურისტულმა სექტორმა. სახელმწიფო სტრატეგიის და სუბსიდიების მიუხედავად, ზოგიერთ კომპანიას მოუწია განეხორციელებინა შიდა და გარე ღონისძიებები კრიზისთან გასამაკლავებლად.

კომპანიების მიერ გატარებული ღონისძიებებია:

- თანამშრომელთა გათავისუფლება;
- თანამშრომელთა გაშვება არაანაზღაურებელ შვებულებაში;
- ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიის გადასვლა ნაწილობრივ ან სრულად ონლაინ რეჟიმზე, რაც თავის მხრივ მოითხოვს ხარჯების ზრდას;
- ზოგიერთი საწარმო იძულებული გახდა ან სრულად დახურულიყო, ან ნაწილობრივ შემცირებინა წარმოება;
- ზოგიერთმა წარმოებამ მოახდინა საკუთარი ბიზნესის გარდასახვა ისე, რომ უკეთ ადაპტირებულიყო კრიზისულ სიტუაციასთან.

## III. საქართველოში შექმნილი Covid-19 კრიზისისა და პოსტკრიზისული აღდგენის პერიოდში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის რეაგირების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები ენერგოეფექტურობის სფეროში

### 3.1 ენერგოეფექტური დანადგარი ასფალტ-ბეტონის წარმოების გასაორმაგებლად

შპს „ლაგოდეხავტოგზა“ - ქართული სამშენებლო კომპანია, რომელიც დაარსდა 2000 წელს და მდებარეობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფონაში. კომპანია სპეციალიზირებულია გზის დაგებასა და ცემენტ-ბეტონისა და ასფალტ-ბეტონის წარმოებაში.

2020 წელს კომპანიამ გადაწყვიტა გაეზარდა ასფალტ-ბეტონის წარმოების მოცულობა, მაგრამ მის წინაშე აღმოჩნდა გამოწვევა: მათი წარმოების მანქანა მოძველდა და აღარ შეეძლო წარმოების გაზრდილი მოცულობის მხარდაჭერა. გარდა ამისა, „ლაგოდეხავტოგზა“ ეძებდა მათი წარმოების ხარჯების შემცირების გზებს.

პანდემიისა და გაურკვევლობის პირობებში წარმოების მოდერნიზაციის შესახებ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ძალზედ სარისკო იყო, მაგრამ კომპანიას კარგად ესმოდა, რომ პროექტის განხორციელება მათ პროდუქციას გახდიდა კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს ბაზარზე, მაღალხარისხიან პროდუქტებზე მოთხოვნის გაზრდითა და გზების მშენებლობის/რეაბილიტაციის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღებისთვის.

კომპანიამ მიმართა GEFF-ს (მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა) დაფინანსებისთვის და მიიღო უფასო ტექნიკური შეფასება პროექტისთვის. მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა (GEFF) საქართველოში არის 54 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი, რომელიც მონაწილე ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით იმ საცხოვრებელი და კომერციული კლიენტებისათვის ახდენს სესხის გაცემას, რომლებიც ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პროექტებში ინვესტიციას ახორციელებენ. GEFF-ის კონსულტანტებმა შეაფასეს პროექტი, ჩაატარეს ფინანსური და ტექნიკური ანალიზი და მისცეს მას რეკომენდაციები, რომლებიც „ლაგოდებავტოგზას“ დაეხმარა მიზნების მიღწევაში.

254,000 ევროს ინვესტიციამ კომპანიას საშუალება მისცა ჩაენაცვლებინა საწარმოო დანადგარები ახალი ენერგოეფექტური მანქანებით და გაეზარდა წარმოება 55% -ით წინა წლებთან შედარებით.

გარდა ამისა, „ლაგოდებავტოგზას“ ახლა უკვე შეუძლია დაზოგოს 160 მგვტ.სთ წელიწადში, რაც ნიშნავს 10,000 ევროს ენერგოდაზოგვას ყოველწლიურად. ამ ინვესტიციის საფუძველზე, წარმოების შედეგად CO<sub>2</sub>-ის ემისიები წლიურად 62 ტონით შემცირდა.

ეს პროექტი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია ერთ ინვესტიციას დაეხმაროს ბიზნესს მიზნების მიღწევისა და გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებაში.

### 3.2 ახალი ენერგოეფექტური სასატუმრო ზუგდიდში

COVID-19-ის გავლენა ტურიზმის ინდუსტრიაზე უპრეცედენტო აღმოჩნდა. სიტუაციის მოკლევადიანმა გამოსწორებამ 2020 წლის ზაფხულის თვეებში, განსაკუთრებით ქვეყნის შიდა მოგზაურობის ხარჯზე, ტურიზმის სექტორის სწრაფი აღდგენის იმედი გააჩინა, მაგრამ პანდემიის შემოდგომა/ზამთრის ტალღამ ეს იმედები დაამსხვრია. მთავრობის მიერ სექტორის მხარდაჭერა, მოგზაურობაზე შეზღუდვის მოხსნა, მოგზაურთა შემოწმებისა და ვაქცინაციის სერტიფიკატების მოთხოვნები ქმნის სექტორის აღდგენას საფუძველს.

შპს „ანგელტერი“, ახალგაზრდა კომპანიაა, რომელიც დაარსდა 2020 წლის თებერვალში და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას ზუგდიდში ენერგოეფექტური სასატუმროს მშენებლობის გზით.

პროექტის დაწყებიდან, კომპანია დიდ ყურადღებას უთმობდა მდგრადობის საკითხს. სასატუმროს მენეჯმენტი მიზნად ისახავს, რაც შეიძლება, ნაკლები მავნე გავლენა მოახდინოს გარემოზე. ამრიგად, გათვალისწინებული იქნა ენერგოეფექტური ზომები და გადაწყდა, რომ 31 ნომრიანი სასატუმრო ელექტროენერჯის განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებით აშენებულიყო.



აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შპს. „ანგელტერიმ“ GEFF-ს დაფინანსების თხოვნით მიმართა პროგრამის ერთ-ერთ პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტის მეშვეობით. GEFF-ის ექსპერტთა გუნდმა ჩაატარა პროექტის ტექნიკური და ფინანსური ანალიზი. სხვა საკითხებთან ერთად, GEFF-ის კონსულტანტებმა გაიანგარიშეს ენერჯისა და CO<sub>2</sub>-ის პოტენციური დაზოგვები.

\$ 166,968 აშშ დოლარის ინვესტიციის შედეგად, ზუგდიდში მდებარე ახალ სასტუმროს შექმნა დაზოგოს 300 მგვტ / სთ წელიწადში, რაც \$ 8.474 აშშ დოლარამდე დანაზოგს შეადგენს ელ. ენერჯის გადასახადებში.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წყალობით, როგორცაა გათბობა, გაგრილება და განათების სისტემები, შენობას ნახშირბადის უფრო დაბალი კვალი ექნება და წელიწადში გამოყოფს 58,28 ტონით ნაკლებ CO<sub>2</sub>-ს.

მსოფლიო კლიმატის ცვლილების პრობლემის წინაშე დგას. მსგავსი პროექტები ძალზე მნიშვნელოვანია სამშენებლო ინდუსტრიაში ნახშირბადის ემისიების შემცირებისთვის, რაც მსოფლიოში ენერჯის მოხმარებასთან დაკავშირებული CO<sub>2</sub>-ის ემისიების 39% -ს შეადგენს. შპს „ანგელტერი“ არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლიათ შენობის მესაკუთრეებს აქტიური როლი შეასრულონ ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად სამუშაოს, ცხოვრებისა და განტვირთვისთვის.

### 3.3 ენერგოეფექტური მრავალფუნქციური შენობა თბილისის ცენტრში

შპს. „ვაკე ჰილმა“, რომელიც თბილისში ფუნქციონირებს 2009 წლიდან, გადაწყვიტა აემშენებინა მრავალფუნქციური შენობა, დაახლოებით 9,000 მ<sup>2</sup> ფართობით, რომელიც დაეთმობოდა ოფისებს, რესტორნებსა და ფართო ავტოსადგომებს (ეს უკანასკნელი აქტუალური იყო ქალაქისთვის).

ეკონომიკის სხვა სექტორების მსგავსად, COVID-19 პანდემიამ გავლენა მოახდინა მშენებლობის სექტორზე. თბილისი კაპიტალის კვლევის თანახმად, 2020 წელს თბილისში საცხოვრებელი ფართის გაყიდვები 22% -ით შემცირდა, თუმცა თბილისში მშენებლობის ნებართვის გაცემა უცვლელი დარჩა, რაც მიანიშნებს მომდევნო წლებში მიწოდების შენარჩუნების ტენდენციის შესახებ. 2020 წელს თბილისში გაიცა 208 ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვა, რაც ითვალისწინებს 1,1 მილიონი კვ.მ საცხოვრებელ ფართს და 83 ნებართვას ადმინისტრაციული შენობების მშენებლობისთვის, რომელთა მოცულობა დაახლოებით 75,000 კვ.მ-ია.

თბილისში მაღალი კლასის საოფისე ფართების მოთხოვნის გათვალისწინებით, კომპანიამ გადაწყვიტა უზრუნველყოს, რომ მომავალ მომხმარებლებს მიეცეთ ყველა საჭირო კომფორტი პროდუქტიული მუშაობის განსახორციელებლად. კომპანიის პოზიციის თანახმად, ამ დონის კომფორტის საფუძველი უნდა დაიწყოს ჯერ კიდევ დაგეგმვისა და მშენებლობის ადრეულ ეტაპებზე.

მომავლის შენობის არქიტექტურული დიზაინით აღჭურვილმა კომპანიამ მიმართა GEFF-ს და მოითხოვა დაფინანსება თავისი პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით. GEFF-ის ექსპერტებმა ჩაატარეს პროექტის საფუძვლიანი ტექნიკური და ფინანსური ანალიზი და კომპანიას

ურჩიეს მაღალხარისხიანი ტექნოლოგიების შესყიდვა, რომლებიც იყენებდნენ ელექტროენერჯის როგორც ენერჯის წყაროს, ბუნებრივი გაზის გამომყენებელი ტექნოლოგიების ნაცვლად.

\$ 2,255,660 აშშ დოლარის ინვესტიცია ახალ ენერგოეფექტურ გათბობისა და გაგრილების სისტემებში, შენობის თბოიზოლაცია, ფანჯრებისა და კარების მაღალი ენერგოეფექტური მახასიათებლები, LED განათების სისტემი და მაღალი ენერგომახასიათებლების მქონე ლიფტები შეამცირებს შენობის ენერგო მოთხოვნებს, ისევე როგორც ენერგოდანაკარგებს ზამთარსა და ზაფხულშიც. წლიური ენერგოდაზოგვა რომელიც წელიწადში 1,950 მგვტ / სთ-ს შეადგენს, საშუალებას მისცემს კომპანიას დაზოგოს 54000 აშშ დოლარი ყოველწლიურად ენერჯის გადასახადებში და რაც ძალიან მნიშვნელოვანია - გაუმჯობესებული სამუშაო პირობები შენობის მობინადრეებისთვის, ისევე როგორც გაძლიერებული გარემოს დაცვა - CO<sub>2</sub>- ის ემისიების შემცირება 350 ტონით წელიწადში.

### 3.4 ენერგოეფექტური შენობა კაკლის წარმოებისთვის

შპს „ანიგოზიმ“ დაიწყო საქართველოს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიაში საქმიანობა დაიწყო კაკლის დარგვითა და მოსავლის მოყვანით, რომელიც კომპანიამ სხვადასხვა ქვეყნებში ექსპორტის გარდა, ადგილობრივ ბაზრებს მიაწოდა. წლების განმავლობაში ამ სფეროში მუშაობის შემდეგ, კომპანიამ გადაწყვიტა მთლიანად განეახლებინა თავისი ოპერაციები პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. მათი სტრატეგიული გეგმის პირველი ნაბიჯი იყო სათავსოს აშენება თავიანთი პროდუქციის დასაწყობების მიზნით.

ახალი შესაძლებლობების ძიების გზაზე, კომპანიამ მწვანე დაფინანსება მოითხოვა. განაცხადის მიღების პროცესში, შპს „ანიგოზიმ“ მიიღო დეტალური ტექნიკური შეფასება პროექტის ტექნიკური და ფინანსური პარამეტრების შესახებ GEF-ის კონსულტანტებისგან.

225,395 ევროს ინვესტიცია საშუალებას მისცემს კომპანიას 2021 წელს ააშენოს ენერგოეფექტური შენობა, რაც გამოიწვევს ყოველწლიურად ენერჯის 3,5 მეგავატ საათამდე დაზოგვას და ენერჯის გადასახადის ყოველწლიურად 3000 ევრომდე შემცირებას. ენერჯის მოხმარების შემცირება კი გამოიწვევს კომპანიის უკეთესი გარემოს შექმნას, რაც გამოიხატება CO<sub>2</sub>-ის ემისიების ყოველწლიურად 3,8 ტონის ოდენობით შემცირებით.

ახალი ენერგოეფექტური შენობის მშენებლობის შედეგად შპს „ანიგოზის“ მიერ მოსავლის სახით აღებული ყველა კაკალი და ნუში დამუშავდება და დასაწყობდება. პროექტის განხორციელება ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმების შესაძლებლობებს შეუქმნის, რაც პანდემიის პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან 2020 წლის ბოლოს საქართველოში უმუშევრობამ 20,4% შეადგინა. სამუშაო ადგილების შექმნის გარდა, პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

### 3.5 ენერგოეფექტური ღუმელი ლითონის გადასამუშავებელი ენერგოდანახარჯების შესამცირებლად

შ.პ.ს. „ეი-ემ-ბი ალოისი“, რომელიც მდებარეობს ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავში, არის სხვადასხვა სახის ფეროშენადნობების მწარმოებელი და მიმწოდებელი. ახლომდებარე ქვეყნებში სილიკომანგანუმზე, ფერომაგანუმზე, ფეროსილიკონზე და სხვა ფეროშენადნობებზე დიდი მოთხოვნის გამო, „ეი-ემ-ბი ალოისის“, დამფუძნებელმა პარტნიორებმა გადაწყვიტეს ფეროშენადნობთა ქარხნის აშენება. პროექტს დიდი ინვესტიცია დასჭირდა, თუმცა, კომპანიამ მიზნად დაისახა რომ აღნიშნული თანხა შედარებით მოკლე დროში გადაეხადა. პროექტის განხორციელება ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის კოვიდის შემდგომი ეკონომიკის აღდგენისა და ექსპორტის ზრდისთვის.

შ.პ.ს. „ეი-ემ-ბი ალოისმა“ შეიტანა განცხადება GEF-ის დაფინანსებისთვის პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტის საშუალებით და მოითხოვა მათი სამომავლო პროექტის უფასო ტექნიკური შეფასება. GEF-ის გუნდმა საქართველოში შეასრულა პროექტის ანალიზი და შეაფასა ენერგოდაზოგვის პოტენციალი, ისევე როგორც ფინანსურ- ტექნიკური პარამეტრები და რისკები.

842,000 ევროს ინვესტიცია საშუალებას აძლევს კომპანიას შეამციროს ენერგომომხმარება წელიწადში 4,3 მეგავატით, რაც ნიშნავს 220,000 ევროს წლიურ დანაზოგს. აღნიშნული ხელს უწყობს კომპანიას მიზნის მიღწევაში და მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებული ენერგოდაზოგვის შედეგად უნაზღაურებს ინვესტიციის ხარჯებს. ახალი ფეროშენადნობი ღუმელი ასევე ნიშნავს CO<sub>2</sub>- ის ემისიების შემცირებას წელიწადში 1,7 ტონით, რაც ამცირებს გარემოზე უარყოფით გავლენას.

## 4 საუკეთესო პრაქტიკა მიკრო,მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისათვის განახლებადი ენერჯის სფეროში COVID-19 კრიზისის საპასუხოდ და კრიზისის შემდგომ აღსადგენად

### 4.1 განახლებადი ბიომასა ანაცვლებს ბუნებრივ აირს ასფალტის წარმოებაში

ადგილმდებარეობა - ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. აგარები

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფელ აგარებში მდებარე ასფალტის მწარმოებელმა კომპანია „მშენებელი 2019“-მა დანერგა რესურს და ენერგოეფექტური ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებდა, მზრუნავ ღუმელზე, 3000 კვტ სიმძლავრის ბუნებრივი გაზის სანთურის ჩანაცვლებას, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აწყობილი მყარი საწვავის თბური გენერატორით (დანადგარი დაცულია პატენტით).

მყარ საწვავად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ნარჩენი - *ყურძნის ჩენჩო (ჭაჭა)*.

დამონტაჟებული თბური გენერატორი იყენებს 600 კგ *ჭაჭას* საათში და ანაცვლებს 300 მ3 ბუნებრივ გაზს.



საწარმოს საოპერაციო გეგმის მიხედვით გენერატორი იმუშავებს 1600 საათს წელიწადში და მოიხმარს 960 ტონა ყურძნის *ჭაჭა*, რითაც ჩანაცვლებს 480000 მ3 ბუნებრივ გაზს.

ვინაიდან ყურძნის *ჭაჭა* მეღვინეობის ნარჩენი პროდუქტია, ღვინის მწარმოებლები უფასოდ აწვდიან რესურსს ასფალტის ქარხანას, შედეგად საწარმოს მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვა უწევს.

1 ტონა გამომშრალი ყურძნის *ჭაჭის* დათვლილი ღირებულება საწარმოსათვის 35 აშშ. \$-ს წარმოადგენს. წლიური დანახარჯი ბიომასის საწვავისგან შეადგენს 33600 აშშ.\$-ს, მაშინ როდესაც ბუნებრივ გაზზე წლიური ხარჯი 160000 აშშ.\$-ს შეადგენდა.

7000 აშშ.\$-ის ინვესტიცია ადგილობრივი წარმოების თბურ გენერატორში ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სარგებელს მოიტანს.

თბური გენერატორის დამონტაჟებისა და ბუნებრივი გაზის ბიომასით (ყურძნის ჩენჩოთი) ჩანაცვლებით, წლიური დანახარჯი 126400 აშშ.\$-ს შეადგენს. პროექტის დანერგვა, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, ენერგომატარებლებზე გაზრდილი ტარიფის პერიოდში, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მან გამოიწვია არამხოლოდ ეკონომიკური დანახარჯი, არამედ შეუწარმუნა პერსონალს სამუშაო ადგილები და გაზარდა კონკურენტუნარიანობა სამშენებლო მასალების ბაზარზე.

გარემოსდაცვითი კუთხით, საწარმოს მიერ ნახშირორჟანგის ატმოსფერული გაფრქვევა შემცირდება წელიწადში 900 ტონით.



## 4.2. განახლებადი ენერჯის (ბიომასის) მიწოდების ჯაჭვის მოწყობა მერების შეთანხმების საპილოტე ქართულ მუნიციპალიტეტში

ადგილმდებარეობა - თელავის მუნიციპალიტეტი

ბიომასის (ვაზის წალამის) მიწოდების ჯაჭვის მოწყობა თელავის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: „ბიომასის ენერჯია და ენერჯიფიკაციური ტექნოლოგიები, როგორც მდგრადი ენერჯეტიკული გადაწყვეტილებები მერების შეთანხმების ხელმძღვანელი ქალაქებისთვის“. ვენახში წალამის შეგროვებისა და მისი დაწვის ნაცვლად (წალამის მოცილების გავრცელებული პრაქტიკა საქართველოში), რაც იწვევს ატმოსფეროში ნახშირორჟანგისა და სხვა აირადი ნივთიერებების გაფრქვევას, პროექტმა აჩვენა წალამის ახლებურად, ეკონომიკურად და მდგრადად, გამოყენების შესაძლებლობა - მისი შეგროვების, ძნელად შეკვრისა და გამოშრობის სახით - წვაში გამოსაყენებლად. 1 ტონა გამომშრალ წალამს შეუძლია 550 მ3 ბუნებრივი გაზის ან 3 მ3 შეშის ჩანაცვლება, ბოლო რესურსი ხშირად გამოიყენება სოფლად, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში. იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე დანაზოგის გარდა, ბიომასის (წალამის) გამოყენებას გარემოსდაცვითი სარგებელიც აქვს, ატმოსფეროში სათბური აირების ემისიების შემცირების სახით.

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკურმა კრიზისის გამო, საქართველოში 100 000 ადამიანმა სამუშაო დაკარგა, ახალი კომპანიის ჩამოყალიბებით კი შეიქმნა 5 ახალი სამუშაო ადგილი, რაც მცირე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი წვლილია ქვეყნის კრიზის შემდგომ აღსადგენად.



თელავის მუნიციპალიტეტში, ბიომასის მიწოდების ჯაჭვის ძირითადი კომპონენტებია:

- ვენახები და ვენახის წალამის ნარჩენები;
- წალამის შეგროვებისა და გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა - იტალიური კომპანიის, „CAEB International“-ის მიერ წარმოებული წალამის ძნელად შემკვრელი და დამაქუცმაცებელი, აგრეთვე ტრაქტორები, სატვირთო ავტომობილი;
- წალამის ძნების შესანახი და საშრობი საწყობი;
- დამაქუცმაცებელი ძნების დამუშავება;
- დაქუცმაცებული ბიომასის ტრანსპორტირება მუნიციპალური შენობების ავტონომიური გათბობის სისტემაში საწვავად გამოსაყენებლად - პროექტის საპილოტე ფაზა საბავშვო ბაღებში.



ბიომასის მიწოდების ჯაჭვის მოწყობის ინვესტიციამ 111,916 ევრო შეადგინა. საპილოტე ეტაპზე, 2 მუნიციპალური საბავშვო ბაღი წელიწადში სათბობ-წიაღისეული რესურსებისგან წარმოებულ 500 მგვტ.სთ ენერჯიას დაზოგავს, რაც თავის მხრივ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაფრქვევას

შეამცირებს 170 ტონით. 2-ვე მუნიციპალური საბავშვო ბაღის მიერ ჯამურად წელიწადში, ფინანსური დანაზოგის სახით, დაიზოგება 16 000 ევრომდე.

წალამის ენერგეტიკული მიზნებისთვის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს: გარდა იმისა, რომ ის გაათავისუფლებს წალამის მწარმოებლებს ნარჩენების მოშორების ხარჯებისაგან, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ტექნიკის დანერგვა ეკონომიკურად სარგებლიანია - ბიომასის ენერგიად გარდაქმნისა და მისი ეროვნულ ბაზარზე შემდგომი კომერციალიზაციის სახით.

თელავის მუნიციპალიტეტში ბიომასის სრული სავარაუდო მოცულობა 17400 ტონას შეადგენს, რაც მუნიციპალიტეტსა და კახეთის მეღვინეობის რეგიონში მერების შეთანხმების სხვა ხელმომწერებისათვის შეძენილი გამოცდილების გამოყენების უზრუნველყოფის საფუძველს ქმნის.

### 4.3. პროგრედიტ ბანკის სათავო ოფისი მწვანე შენობათა სიაში

ადგილმდებარეობა - თბილისი, პროგრედიტ ბანკის სათავო ოფისი

თბილისში მდებარე პროგრედიტ ბანკის სათავო ოფისი მსოფლიოს მასშტაბით მწვანე შენობათა სიაში შევიდა. ნაგებობა საქართველოში პირველია, რომელსაც ენერგო და რესურს ეფექტურობა EDGE საერთაშორისო სერტიფიკატით დაუდასტურდა . ფართოდ შემინული ფასადი და ატრიუმი ბუნებრივ დღის სინათლეს უზრუნველყოფს შენობაში, ამასთანავე დაბალემისიური მინები და თბოიზოლირებული საფარი მინიმუმამდე ამცირებს თბოდანაკარგებს. მთელი ნაგებობა აღჭურვილია LED განათებით, რომელსაც დატვირთვის სენსორები და განათების კონტროლის ფუნქციები აქვს. გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის მაღალ-ეფექტური მოწყობილობა კომფორტულ ატმოსფერულ ჰაერს აწვდის შენობას და, ამავე დროს, ზოგავს ენერჯიას. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავად შენობა, არამედ ასევე რესურსების ეფექტური მოხმარება, რისთვისაც პროგრედიტ ბანკი საქართველომ სათავო ოფისში დაამონტაჟა წვიმის წყლის შემგროვებელი ერთ-ერთი პირველი სისტემა ქვეყანაში.



გარდა ამისა, პროგრედიტი ერთადერთი ბანკია, რომელსაც 2, ქსელთან მიერთებული, საკუთარი მზის ელექტროსადგური აქვს, სისტემა გამოიმუშავებს ელექტროენერჯიას ბანკის საკუთარი მოხმარებისა და ელექტრომობილების დასამუხტად. დამონტაჟებული მზის პანელები უახლესი ტექნოლოგიით დამზადებულ მინა-მინა, ორმხრივ უჩარჩო პანელებს წარმოადგენენ. ერთი მზის მიკროსისტემა დამონტაჟებულია ნაგებობის სახურავზე, შენობის ელექტროენერჯის უზრუნველსაყოფად და ნაწილობრივ ჩრდილის შესაქმნელად მზის პირდაპირი სხივებისგან დასაცავად. მზის მეორე ელექტროსადგური ელექტროენერჯით უზრუნველყოფს ელექტრომობილების დასამუხტ ტერმინალს, იგი განლაგებულია ნაგებობის გვერდით მცირე საპარკინგე ტიპის კონსტრუქციის სახურავზე.



ორივე მზის ელექტროსადგური ჯამურად 500 მ2 ფართობს იკავებს, მათი ჯამური მაქსიმალური სიმძლავრე 100 KW-ს წარმოადგენს. ელექტროსადგურის დამპროექტებლისა და მემონტაჟის, „მზის სახლის“ ვარაუდით, მზის სისტემათა წლიური გამომუშავება 135,000 კვტ.სთ-ს შეადგენს, ამოგების 6 წლიანი პერიოდით. 2020 წლის 19 ივნისიდან - 2021 წლის 9 თებერვლამდე ორივე მიკრო ელექტროსადგურმა ჯამურად 68030 კვტ.სთ გამოიმუშავა და შეამცირა ნახშირორჟანგის გაფრქვევები ატმოსფეროში 5.58 ტონით.



ენერგოეფექტური და რესურსეფექტური ღონისძიებების დანერგვა და რესურსეფექტური პრინციპების გამოყენება პანდემიის დროს კარგი მაგალითია სამშენებლო და საჯარო შენობების აგებაზე პასუხისმგებელი დეველოპერთათვის, განსაკუთრებით იმ პირობების გათვალისწინებით, რომ პანდემიის დროს სამშენებლო სამუშაოები თითქმის იმავე ტემპით გაგრძელდა. ამასთან ერთად, პროკრედიტ ბანკი მწვანე ეკონომიკის დაფინანსების (GEFF) პროგრამის ფარგლებში, სთავაზობს ახალ საფინანსო შესაძლებლობებს იმ მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელიც ენერგოეფექტურ, განახლებადი ელექტროენერჯის ან ეკოლოგიურად სუფთა ინიციატივებს ახორციელებს.

#### 4.4. მზის ელექტროსადგური ვალდორფის სკოლაში

ადგილმდებარეობა - თბილისი

კომპანია „თერმოინდუსტრია“ საქართველოში, გათბობა-გაგრილების, წყალმომარაგების, ჰაერის კონდიციონირების, სატუმბო სადგურებისა და მზის სისტემების ერთ-ერთ უმსხვილეს შემომტანს წარმოადგენს. 2021 წლიდან, იგი აწვდის მომხმარებელს მაღალი ხარისხის პროდუქციას იტალიიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, უნგრეთიდან, სლოვენიიდან და თურქეთიდან.



UAB EST LT-სა და შპს „თერმოინდუსტრიის“ თანამშრომლობის შედეგად დაინერგა განვითარების თანამშრომლობის პროექტი „მზის ელექტროსადგურის მონტაჟი ვალდორფის სკოლაში, საქართველო“. პროექტი დაფინანსდა ლიეტუვას რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს კლიმატის ცვლილების სპეციალური პროგრამის ფარგლებში.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა, თავისუფალ ვალდორფის სკოლა-ბაღში ენერგოინტენსივობის შემცირება, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და მოხმარების გაზრდით. პროექტის დანერგვა პანდემიის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადგილობრივი კომპანიამ ამ პერიოდში ჩაატარა სამუშაო ტრენინგები, შეინარჩუნა პერსონალი და ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდა, პროექტის დანერგვა აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია თვით

სკოლისთვისაც, ვინაიდან ელექტროენერჯის გაზრდილი ტარიფის პირობებში იგი შეძლებს უფასო მზის ენერჯით საკუთარი ენერგომომხმარების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. ლიეტუვას რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს კლიმატის ცვლილების სპეციალური პროგრამის ფარგლებში, პროექტს გამოეყო 30047.50 ევრო.

პროექტის განხორციელების შედეგად დამონტაჟდა 20 კვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგური. პროექტის ბენეფიციარია - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი.

პროექტის შედეგად, დამონტაჟებული 20 კვტ მზის ელექტროსადგური მიაღწევს შემდეგ გარემოსდაცვით შედეგებს:

- შემცირდება ქსელიდან ელექტროენერჯის მოხმარება, რაც შეამცირებს სკოლა-ბაღის ხარჯებს;
- ნახშირორჟანგის ემისიები შემცირდება წელიწადში 17,400 - ტონით. ჯამურად 347,840 ტონა - პროექტის 20 წლიანი შეფასების პერიოდის განმავლობაში.

პროექტის არაპირდაპირი სარგებელი - პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, შპს „თერმონდუსტრიამ“ მიიღო გამოცდილება ლიეტუვური მხრისგან, მზის ელექტროსადგურის დაპროექტების, მონტაჟისა და მისი ექსპლუატაციაში გაშვების კუთხით.

პროექტის დანერგვა დაიწყო 2020 წლის აპრილში, სადგური ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წლის 30 დეკემბერს. 2021 წლის 1-ლი იანვრიდან - 2021 წლის 21 მარტამდე მზის ელექტროსადგურმა გამოიმუშავა 3197 კვტ.სთ ელექტროენერჯია.

პროექტი მიმდინარეობდა ლიეტუვას რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ. დამონტაჟებულ მზის ელექტროსადგურს აქვს ონლაინ მონიტორინგის სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://bit.ly/waldorfpv>

## V. დასკვნები

მომიებული კვლევების საფუძველზე დაფუძნებული დასკვნები:

ყველა ბიზნესმა განიცადა მოთხოვნის / შემოსავლის შემცირება შემდეგი მიზეზების გამო:

1. ლოკდაუნი - ბიზნესი, რომელიც ეყრდნობოდა მომხმარებელზე პირდაპირ გაყიდვას, ლოკდაუნის პერიოდში ბიზნეს საქმიანობის დახურვის გამო, შემოსავლების მნიშვნელოვნად შემცირება განიცადა. მეტიც, ლოკდაუნის დასრულების შემდეგაც, შემცირდა მომხმარებელთა ნაკადი საცალო მოვაჭრეებზე, მოსახლეობის უსაფრთხოების გამო. 2. დახურულმა საზღვრებმა და ტურისტთა შემცირებულმა რაოდენობამ უპირატესად იმოქმედა ტურისტულ სექტორებზე (HORECA) და მათ მომწოდებლებზე (საკვები და სასმელი) და მშენებლობის სექტორზე (უცხოელებზე საცხოვრებელი ფართის გაყიდვების შემცირება, ახალი სასტუმროების მშენებლობის სიცოცხლისუნარიანობა).
3. ცვლილება მოხმარების რეჟიმში - ადგილობრივი სამომხმარებლო რეჟიმები გადავიდა უფრო იაფ პროდუქტებზე და გაიზარდა ძირითადი საქიროებების პროდუქტებზე ხარჯვა (მაგ. საკვები), შემცირდა ხარჯები ფუფუნების საგნებზე და გრძელვადიანი ინვესტიციები.;
4. დამაბულობა საექსპორტო ბაზრებზე - სხვა ქვეყნების ზოგიერთ სექტორზე პირდაპირ იმოქმედა პანდემიამ. შესაბამისად, ბევრმა უცხოელმა მომხმარებელმა შეამცირა ან გააუქმა / დააგვიანა შეკვეთა, ზოგს კი მოუწია ფასდაკლების მოთხოვნა საკუთარ ქვეყნებში გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. გარკვეული საექსპორტოს პროდუქციის მოცულობა, მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს ძირითადად განპირობებული იყო ვალუტის გაცვლითი კურსის რყევებით და პროგნოზირებადობის არარსებობით.
5. ვითარების გაურკვევლობის გამო კომპანიებს გაუჭირდათ ოპერაციების დაგეგმვა და ინვენტარის საქიროებების პროგნოზირება.
6. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ კომპანიებს საკარანტინო პერიოდში ჰქონდათ მუშაობის ნებართვა, მათ არ ჰყავდათ მომწოდებლები (მაგ. სამშენებლო მასალების). შედეგად, მათ ვერ შეძლეს საქმიანობის გაგრძელება მას შემდეგ, რაც მარაგები ამოიწურა.
7. რადგანაც საქართველოს უცხოელ მომწოდებლებთან ყველა კონტრაქტი გაფორმებულია უცხოურ ვალუტაში (ძირითადად აშშ დოლარი და ევრო), კომპანიებს შეექმნათ ნედლეულის / მასალის ხარჯების ზრდა გაცვლითი კურსის ცვლილების გამო.
8. გაზრდილი ხარჯები COVID-19- თან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების გამო, ნაწილობრივ ანაზღაურდა სხვა ხარჯებით (მაგალითად, მგზავრობის ხარჯები).

განახლებად ენერჯისა და ენერგოეფექტურობაში დასაქმებული მცირე და საშუალო კომპანიების გამოკითხვის შედეგებზე დაფუძნებული დასკვნები:

- დაფინანსების პროგრამების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსური სტაბილიზაციისთვის. მცირე და საშუალო ბიზნესებს შესაფერისი მხარდაჭერა არ აქვთ განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სექტორში.

- მცირე და საშუალო ბიზნესების უმეტესობა იძულებული გახდა მოერგოს დისტანციურ სამუშაო პირობებს და სოციალურ დისტანცირებას. მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურად მუშაობის რეჟიმმა შეამცირა კომუნალური ხარჯები მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, ამას დამატებითი ძალისხმევა და რესურსები დასჭირდა, რაც შრომის (სამუშაო ძალის) პროდუქტიულობის შემცირებას იწვევდა.
- ყველა მცირე და საშუალო ბიზნესს არ შეეძლო დისტანციურად მომუშავე პერსონალის დამატებითი ხარჯების უზრუნველყოფა/კომპენსაცია/ანაზღაურება (მაგ. ელექტროენერჯის/სატელეკომუნიკაციო ღირებულება), მხოლოდ 40% იყო მზად პერსონალისთვის საჭირო აღჭურვილობის მიწოდებისთვის, რაც აუცილებელია ასეთი სამუშაო პირობებისთვის.
- მცირე და საშუალო ბიზნესების უმეტესობას დაეხმარა ახალი, ინოვაციური მარკეტინგული მოქმედებების დაწყება, როგორცაა სოციალური მედიის გამოყენება და პოტენციურ მომხმარებლებთან პირდაპირი კომუნიკაცია.
- ოპერაციების გასაგრძელებლად დამატებითი ძალისხმევითა და შემოსავლის შემცირების მიუხედავად, არცერთი გამოკითხული მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც მუშაობს განახლებად და ენერგოეფექტურ სფეროში, არ გაკოტრებულა და არ შეუმცირებია თანამშრომელთა რაოდენობა. ამგვარი გადაწყვეტა არ არის ხელსაყრელი დასაქმებულთათვის, რადგან ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნა ნიშნავს, რომ ისინი ტექნიკურად არიან დასაქმებულნი და პირს არ აქვს უფლება მიიღოს სახელმწიფო დახმარება, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის თანახმად. ოფიციალურად დასაქმებულმა პირებმა, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს კორონავირუსის პანდემიის გავრცელების შემდეგ, 6 თვის განმავლობაში მიიღეს 1200 ლარი (თვეში 200 ლარი);
- COVID-19-ის გავრცელების შემდეგ, მცირე და საშუალო ბიზნესების უმრავლესობას (68%) შეუმცირდა მოთხოვნა მომსახურებაზე და მოუწია ოპერაციების შეწყვეტა, რამაც გამოიწვია ენერჯის მოხმარების შემცირება. ამგვარმა შემცირებამ გავლენა მოახდინა მცირე და საშუალო ბიზნესების მოთხოვნის გაზრდაზე განახლებადი და ენერგოეფექტური პროდუქტებისადმი და ასევე საზოგადოების ინტერესის შემცირებაზე განახლებად და ენერგოეფექტურ პროდუქტებში ინვესტიციისთვის, რაც პროვოცირებული იყო სახელმწიფოს მიერ ენერგო გადასახადების სუბსიდირებით.
- ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ სუბსიდიები კომუნალურ გადასახადებზე ატარებენ დროებით ხასიათს, ელექტროენერჯიაზე ტარიფების ზრდის შესაბამისად (ელექტროენერჯია, ბუნებრივი აირი, წყალი) 2020 წლის 31 დეკემბრიდან სემეკის მიერ შეიძლება გახდეს განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროს მიერ შეთავაზებული მომსახურების წახალისების სტიმული.
- მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული კომპანიების დაახლოებით 60%, რომლებიც მუშაობენ განახლებად ენერჯიებსა და ენერგოეფექტურობის სფეროში, აპირებენ შექმნან სარეზერვო რესურსები თავიანთი საქმიანობისთვის, ამ კომპანიების მხოლოდ 13%-მა მიმართა ბანკს დამატებითი ფინანსური რესურსის მისაღებად, ხოლო კიდევ 13%-მა ამჯობინა ქონების გაყიდვა აუცილებელი საჭიროებების დასაფარავად.



## VI. რეკომენდაციები

რეკომენდაციები ფორმულირებულია კამერალური კვლევისა და გამოკითხული მცირე და საშუალო ბიზნესებიდან მიღებული გამოხმაურებების საფუძველზე, მთავრობის პროგრამის ანალიზზე, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შექმნას COVID-19 კრიზისით დაზარალებული მცირე და საშუალო ბიზნესების შესაბამისი პოლიტიკისა და კანონმდებლობის მეშვეობით, ასევე ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის აღჭურვილობის მიწოდებასა და უზრუნველყოფას.

### 6.1 რეკომენდაციები მთავრობას

- მთავრობამ უნდა მოამზადოს მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები კომპანიებისთვის, მათთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის შესახებ, როგორცაა სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე წვდომა, ვის დაუკავშირდნენ კითხვების შემთხვევაში, ვინ არიან ეროვნული ორგანოები, რომლებიც მონაწილეობენ თანხების გაცემაში, რა როლი აქვთ კომერციული ბანკებს, რა ვალდებულებები აქვთ და ა.შ.
- მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა შეიმუშაონ რეგულაციები და მითითებები კომერციული ბანკებისთვის, მათ შორის ბიზნესის დაცვის მექანიზმი, 500 მილიონი ლარის ოდენობის დახმარებით კერძო სექტორის საკრედიტო გარანტიის მექანიზმისთვის. მთავრობამ უნდა შექმნას დროებითი საგადასახადო შეღავათები მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე, რათა დროებითი პერიოდის განმავლობაში ბიზნესი გაათავისუფლოს ნებისმიერი საგადასახადო ვალდებულებისაგან.
- მთავრობამ უნდა შეიტანოს განახლებადი ენერჯების და ენერგოეფექტურობის სფეროში მოქმედი საწარმოები არსებულ ეროვნულ პროგრამებში (მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“), რათა დაეხმაროს მცირე და საშუალო ბიზნესებს გრანტებით, სესხებით და სასესხო გარანტიებით;
- მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს განახლებად ენერჯებისა და ენერგოეფექტურობის სფეროს მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნეს კლასტერების ჩამოყალიბებას. მცირე და დამწყები ბიზნესისთვის, კლასტერში ყოფნა კონკურენტებთან და მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიებთან საშუალებას აძლევს მათ უფრო სწრაფად გაიზარდონ ბაზარზე, მოიპოვონ აღიარება და სტატუსი, შექმნან მიწოდების ჯაჭვი, ჰქონდეთ უკეთესი ინფორმაცია და გადაჭრან საერთო პრობლემები. მათ ერთად უნდა შეიმუშაონ სტრატეგიები და გეგმები, თუ როგორ უნდა გადალახონ ისინი.
- მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ფინანსური დახმარება არა მხოლოდ მათთვის, ვინც დაკარგა სამუშაო, არამედ მათთვისაც, ვინც უხელფასო შვებულებაში იმყოფება და თვითდასაქმებულია, ეს უფრო მეტ გამჭვირვალობას მოითხოვს, თუ რა არის საჭირო შემოსავლის დაკარგვის დასადასტურებლად, რათა ერთჯერადი სარგებელი ბევრჯერ არ მიიღონ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვითდასაქმებულთა ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე კონტრაქტით დასაქმებული პირების მდგომარეობა.

- ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს სპეციალური მოქნილი პაკეტი მშობლებისთვის, რომლების მცირეწლოვანი შვილები დადიან ბაღში ან სკოლაში, საჭიროებენ სპეციალურ მოვლას მაშინ, როცა სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებები დახურულია ან მუშაობენ დისტანციურად.
  - მთავრობამ თავიდან უნდა აიცილოს ყველასთვის ერთიდაიგივე რესურსების ან შესაძლებლობების მიცემა, მათი საჭიროებების მიუხედავად, დამხმარე პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებით, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან მიდგომას ხალხის/კომპანიების განსხვავებულად მოპყრობის გზით, მათი საჭიროებიდან გამომდინარე (ე.ი. ისეთი სიტუაციების თავიდან აცილება, როდესაც ბიზნესი იღებს ფინანსურ დახმარებას სამუშაო ძალის შემცირებისას). მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო და დამხმარე სერვისები (მაგ. ცხელი ხაზები) კონკრეტული ბიზნეს გამოწვევების გადასაჭრელად.
  - მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები შესაძლო ზომებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ კრიზისისა და პანდემიის დასაძლევად, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი გავლენისთვის. მითითებები ასევე უნდა მოიცავდეს მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ზომებს და საერთაშორისო დონორების დახმარების ინსტრუმენტებს, კერძო ინიციატივებს და ა.შ.
  - მთავრობამ უნდა გააკონტროლოს ფინანსური დახმარების გაწევის პროცესი მსხვილ ბანკებთან / საფინანსო ინსტიტუტებთან პარტნიორობით.
  - შინამეურნეობებისა და სურსათის მწარმოებლების ენერგო გადასახადების სუბსიდირების ნაცვლად, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს და სუბსიდირება გაუწიოს განახლებად და ენერგოეფექტურ პროდუქტებს და მომსახურებებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ენერჯის დაზოგვას გამოიწვევს.
  - მთავრობამ უნდა განიხილოს და შეცვალოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები და ხელი შეუწყოს განახლებადი და ენერგოეფექტური პროდუქტების შესყიდვას ადგილობრივი მომწოდებლების / მწარმოებლებისგან.
  - მთავრობამ უნდა უზრუნველყოს დაფინანსების მხარდაჭერა გრანტებისა და მცირე ან უპროცენტო სესხებით მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, დაბალ-ნახშირბადიან ტექნოლოგიებზე, სუფთა ენერჯის სექტორში მწვანე ეკონომიკის აღსადგენად. კომპანიებს შეიძლება გაუჭირდეთ სუფთა ენერგოტექნოლოგიებზე გადასვლის დაწყება, რადგან მათ სხვა ხარჯების დაფარვა უწევთ.
- მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის საჭირო პროგრამებში მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს განახლებად და ენერგოეფექტურ პროდუქტებს და მომსახურებებს, რადგან ამ ტექნოლოგიებისა და პროდუქტების გამოყენებამ შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს Covid-19-ის შემდგომ აღდგენაზე, სხვადასხვა სფეროში მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესების გაძლიერებასა და კონკურენტუნარიანობაზე.



## 6.2 რეკომენდაციები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომლებიც საქმიანობენ განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროში

- შეისწავლეთ და დაიწყეთ ასოციაციის / კლასტერების ჩამოყალიბების დაუყოვნებელი პროცესი, რათა კონკურენტუნარიანობა გაიზარდოს, ასევე განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტური პროდუქტებისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის ბიზნესი უფრო მიმზიდველი გახდეს;
- კრიზისისა და კრიზისის შემდგომი პერიოდის სოციალურად ორიენტირებული ფინანსური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის გრძელვადიანი მდგრადობის გარანტიას, ასევე ზრდის კომპანიის მოგებას და დამატებით თანხებს გამოყოფს თანამშრომლებისთვის. მაგ., კომუნალური გადასახადების დანაზოგი შეიძლება დაურიგდეს თანამშრომლებს დისტანციური მუშაობის რეჟიმის ორგანიზებასთან დაკავშირებული გაზრდილი გადასახადების დასაფარავად.
- განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების მემონტაჟებისა და ინსპექტორების, აგრეთვე განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის მხარდაჭერის სქემების შემუშავება და შეთავაზება მთავრობის მიერ სუბსიდირებული პროფესიული განათლების მისაღებად, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.
- დისტანციურად მუშაობის ყველა ასპექტი შემდგომ უნდა იქნას შესწავლილი და მცირე და საშუალო ბიზნესებმა უნდა გაითვალისწინონ ისეთი ვარიანტები, როგორცაა აუთსორსინგი და/ან ზოგიერთი ძირითადი მომსახურების გაერთიანება (კლასტერიზაცია) (მაგ. ფინანსური / მარკეტინგი / პროდუქტის მიწოდება / მონტაჟი).
- შეისწავლეთ საჯარო (სახელმწიფო) კონტრაქტებზე ფოკუსირების შესაძლებლობები, როგორც სტაბილური და ფინანსურად მხარდაჭერილი პროექტები (მაგალითად, მშენებლობა).
- შეიმუშავეთ შესყიდვების სტრატეგია კომპანიისთვის და/ან კლასტერისათვის, რათა უზრუნველყოთ წინასწარ საჭირო მარაგი, შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.
- წარმოების პროცესებში წრიული ეკონომიკისა და რესურსეფექტურობის პრინციპების დანერგვა საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სახელმძღვანელო მითითებები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები მცირე, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერჯის მოწოდების მიწოდებაში“  
<https://unece.org/sustainable-energy/publications/guidelines-and-best-practices-micro-small-and-medium-enterprises>
2. ესკო-ელექტროენერჯის ბალანსი 2019  
<https://esco.ge/ka/energobalansi/by-year-1/elektroenergiis-balansi-2019>
3. ესკო-ელექტროენერჯის ბალანსი 2020  
<https://esco.ge/ka/energobalansi/by-year-1/elektroenergiis-balansi-2020>
4. „ქართული ბიზნესები COVID-19 პანდემიის ფონზე“ (PwC Pricewaterhousecoopers)  
[https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia\\_Covid-19\\_survey\\_Report\\_Final\\_Georgian\\_21.05.20.pdf](https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid-19_survey_Report_Final_Georgian_21.05.20.pdf)
5. „ქართული ბიზნესები COVID-19 პანდემიის ფონზე“ (განმეორებითი კვლევა)  
[https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/november-2020/COVID-19\\_OCTOBER\\_SURVEY\\_GEO.pdf](https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/november-2020/COVID-19_OCTOBER_SURVEY_GEO.pdf)
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
ბიზნეს აქტივობების შედეგები (I-ლი კვარტალი 2020)  
<https://www.geostat.ge/ka/single-news/1863/satsarmota-sakmianobis-shedegebi-2020-tslis-i-kvartali>
7. საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები COVID-19-ის წინააღმდეგ :  
<https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf>
8. საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმა  
<https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ge/Documents/legal/COVID-19%20Anti-crisis%20Economic%20Plan%20-%20Georgian.pdf>
9. მცირე ბიზნესების სტრატეგია საქართველოში 2016-2020წწ  
[http://gov.ge/files/439\\_54422\\_706524\\_100-1.pdf](http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf)
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
ბიზნეს აქტივობების შედეგები (III კვარტალი 2020)  
<https://www.geostat.ge/ka/single-news/1987/satsarmota-sakmianobis-shedegebi-2020-tslis-iii-kvartali>
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
ფინანსური ბრუნვა სექტორების მიხედვით  
[https://www.geostat.ge/media/35147/turnover%2C-production%2C-employed\\_GEO\\_III\\_2020.pdf](https://www.geostat.ge/media/35147/turnover%2C-production%2C-employed_GEO_III_2020.pdf)
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
მთლიანი შიდა პროდუქტი (III კვარტალი )  
<https://www.geostat.ge/media/35444/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98---III-2020.pdf>
13. COVID-19 პანდემია და მისი გავლენა მცირე ბიზნესებზე (გვ.82)  
<https://www.intracen.org/uploadedFiles/intracenorg/Content/Publications/ITCSMECO2020.pdf>
14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
მონაცემების ბაზა  
<http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database>

**დანართი I**

*ცხრილი 3: კითხვარი მიკრო,მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის რომლებიც მუშაობენ განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში*

კოდი	კითხვა	პასუხის დიაპაზონი	პასუხის მნიშვნელობა		
Q01	თანამშრომლების რაოდენობა COVID -19 კრიზისამდე	რიცხვი			
Q02	სარეალიზაციო ობიექტების რაოდენობა	რიცხვი			
Q03	ოფისების რაოდენობა	რიცხვი			
Q04	საწყობების რაოდენობა	რიცხვი			
Q05	ტრანსპორტის რაოდენობა	რიცხვი			
Q06	საკუთრებაში არსებული მიწების რაოდენობა	რიცხვი			
Q07	ქირით აღებული ფართები (საწყობი, ოფისი, სარეალიზაციო ობიექტი, მიწა და სხვ.)				
Q08	სხვა რესურსი-1				
Q09	სხვა რესურსი-2				
Q10	სხვა რესურსი-3				
Q11	გყავთ თუ არა კოვიდინფიცირებული თანამშრომლები?	Y/N	დიახ	არა	
Q12	გყავთ თუ არა თანამშრომლები, ვინც COVID-19 -ის მოხდის შემდეგ დაბრუნდა სამუშაო ადგილზე?	Y/N	დიახ	არა	

Q13	განთავისუფლეთ თუ არა თანამშრომლები COVID -19 -ით ინფიცირებით გამოწვეული დროებითი შრომისუნარობის გამო?	Y/N	დიახ	არა	
Q14	განთავისუფლეთ თუ არა თანამშრომლები კომპანიაში შექმნილი ფინანსური მდგომარეობის გამო?	Y/N	დიახ	არა	
Q15	მიიღეს თუ არა განთავისუფლებულმა თანამშრომლებმა საჭრო კომპენსაცია კომპანიის მხრიდან?	Y/N	დიახ	არა	
Q16	დატოვეს თუ არა თანამშრომლებმა სამსახური COVID -19 -ის მიზეზების გამო (ჯანმრთელობაზე გაფრთხილება და სხვა.)	Y/N	დიახ	არა	
Q17	გყავთ თუ არა არაანაზღაურებად შვებულებაში გაშვებული თანამშრომლები?	Y/N	დიახ	არა	
Q18	მუშაობდით თუ არა დისტანციურ რეჟიმში?	Y/N	დიახ	არა	
Q19	მოგიწიათ თუ არა დისტანციურ რეჟიმში გადასვლა ?	Y/N	დიახ	არა	
Q20	აღმოჩნდა თუ არა კომპანიისთვის მეტად სარგებლიანი დისტანციურ რეჟიმში მუშაობა?	Y/N	დიახ	არა	
Q21	გაიზარდა თუ არა საკურიერო/სერვისის მიმწოდებელთა შტატი დისტანციურ რეჟიმში გადასვლის შემდეგ?	Y/N	დიახ	არა	

Q22	თუკი არსებობდა ამის საჭიროება უზრუნველყავით თუ არა პერსონალი დისტანციურ რეჟიმში სამუშაოდ საჭირო რესურსით? (ინტერნეტი, კომპიუტერი და სხვა.)	Y/N	დიახ	არა	
Q23	დაემატა თუ არა თქვენს საქმიანობას დამატებითი წარმოება, სერვისი თუ სხვა. იმ მიზეზით, რომ ამ სიტუაციაში ეს მეტად სარგებლიანი იქნებოდა.	Y/N	დიახ	არა	
Q24	აისახა თუ არა დისტანციური რეჟიმი კომპანიის სამუშაო გრაფიკზე?	Y/N	დიახ	არა	
Q25	მოგიწიათ დამატებითი სესხის აღება?	Y/N	დიახ	არა	
Q26	იხდით თუ არა ქირებს?	Y/N	დიახ	არა	
Q27	მოგიწიათ თუ არა საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილის გაყიდვა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის	Y/N	დიახ	არა	
Q28	არის თუ არა მუშა მდგომარეობაში კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება?	Y/N	დიახ	არა	
Q29	დაამატეთ თუ არა საწარმოო ხაზი/სახელოსნო და სხვა?	Y/N	დიახ	არა	
Q30	უახლოეს მომავალში აპირებთ თუ არა შტატის გაზრდას?	Y/N	დიახ	არა	
Q31	გყავთ თუ არა პარტნიორები წითელი ზონის ქვეყნებიდან ვისთანაც	Y/N	დიახ	არა	

	მოგიწიათ ურთიერთობის გაწყვეტა?				
Q32	ეძიებთ ან თუ აპირებთ საზღვარგარეთ ახალი პარტნიორების ძიებას?	Y/N	დიახ	არა	
Q33	როგორ შეიცვალა კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა	0-5-10	0- არ შეცვლილა	5 - განახევრდა	10- შეწყდა
Q34	როგორია კომპანიის კონკურენტუნარიანობა	0-5-10	0- სტაბილურად	5- საშუალოდ	10- კონკურენტუნარი
Q35	რამდენად შეიცვალა წარმოების პროცესი	0-5-10	0- არ შეცვლილა	5- გართულდა	10- შეწყდა
Q36	როგორ შეიცვალა ხელფასები	0-5-10	0- არ შეცვლილა	5- შემცირდა მცირედ	10- დროებით შეწყდა გაცემა
Q37	როგორ შეიცვალა კომპანიის უძრავი ქონება	0-5-10	0- არ შეცვლილა	5- შემცირდა საშუალოდ	10- დაიკარგა სრულად
Q38	როგორ შეიცვალა ვალდებულებები ბანკების წინაშე	0-5-10	0- არ შეცვლილა	5 - საშუალოდ გაიზარდა	10-აღემატება ბიუჯეტს
Q39	რამდენად დაგეხმარათ სახელმწიფოს მიერ გაწეული ფინანსური/სუბსიდირებული დახმარება	0-5-10	0- დამეხმარა სრულად	5- დამეხმარა ნაწილობრივ	10- ვერ დამეხმარა
Q40	როგორ შეიცვალა გაყიდვები ქვეყანაში	0-5-10	0-არ შეცვლილა (მზარდია)	5 - განახევრდა	10- შეწყდა
Q41	როგორ შეიცვალა ექსპორტი	0-5-10	0- არ შეცვლილა	5 - განახევრდა	10- შეწყდა



Q42	როგორ შეიცვალა იმპორტი	0-5-10	0- არ შეცვლილა	0- ნაწილობრივ შეწყდა	10-სრულიად შეწყდა
Q43	გეგმავთ თუ არა კომპანიის ფინანსური სტრატეგიის გადახედვას?	Y/N	დიახ	არა	
Q44	დაგანახათ თუ არა კრიზისმა კომპანიის სუსტი მხარეები?	Y/N	დიახ	არა	
Q45	როგორი იქნება თქვენი რეკომენდაცია სახელმწიფოსთვის ბიზნესების დახმარების მიმართულებით?	ტექსტი			
Q46	რა სახის სუბსიდიას/დახმარებას ისურვებდით გარდა სახელმწიფოს მხრიდან შემოთავაზებულისა?	ტექსტი			
Q47	როგორ ფიქრობთ, რა დრო იქნება საჭირო თქვენი ბიზნესის აღსადგენად კრიზისამდელ მდგომარეობამდე?	ტექსტი			
Q48	გეგმავთ თუ არა საქმიანობის სფეროს შეცვლას/ტრანსფორმაციას?	Y/N	დიახ	არა	
Q49	აპირებთ თუ არა სარეზერვო რესურსის (ფინანსურის ან ფიზიკურის) შექმნას?	Y/N	დიახ	არა	
Q50	მიუთითეთ თქვენს მიერ გამოყენებული სუბსიდია/ფინანსური დახმარება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები	ტექსტი			